# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 ივლისი 2005 №172 (2495) ფასი 50 თეთრი


## გოჩა ხოჯავა როსტოველია



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი გოჩა ხოჯავა მხოლოდ ორი დღით ისინჯებოდა რუსულ „როსტოვში“ და, ეტყობა, მწვრთნელებს თავი მოაწონა — გუშინ მას კონტრაქტი გაუფორმეს და საპრემიერლიგო განაცხადში შეიყვანეს. შეგახსენებთ, 20 წლის ხოჯავა „როსტოვამდე“ ყაზანის „რუბინში“ ცდილობდა გადასვლას, მაგრამ ამ ვარიანტიდან ვერაფერი გამოდნა.

გოჩა დონისპირეთში მიხეილ აშვეთიასთან ერთად ითამაშებს და ვინძლო, გუნდს პრემიერლიგაში დარჩენაში გვარიანად შეეშველოს — ვალერი პეტრაკოვის გაწვრთნილი „როსტოვი“ ჩემპიონატში ბოლო ადგილს ტკეპნის.

ილია ნანოზაშვილი

# დღეს იწყება და ხუთი ჯვარი სწერია

## GEOპოლიტიკური დებიუტი

სიმართლე ვთქვათ, ევროთასებზე ქართული გუნდების ვაჟკაცობის შემდეგ ეჭვი გვეპარება, გულშემატკივარმა ეროვნული ჩემპიონატისკენ გაიხედოს, მაგრამ თუ მეჩვიდმეტე ეროვნულს მეტ-ნაკლები ინტერესით მაინც ელიან, ამის მიზეზი ნოდარ ახალკაცის პროექტია: 16 გუნდი, მათ შორის, პოლიტიკური მოტივით აღზევებულნი — „ცხინვალი“ და სოხუმის „დინამო“. კი, ბატონო, ღმერთმა ქნას, თექვსმეტობამ გაამართლოს და ჩასათვლემი თამაშები ცოტა იყოს, მაგას რა აჯობებს.



# მადამ ბატერფლაი



AFP ...

პოლონელმა ოტილია ჟედრჟეშჩაკმა მონრეალში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატში ჯერ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა, მერე 200-მეტრიან დისტანციაზეც, სადაც თავისივე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა — 2.05,61. ერთი სიტყვით, პეპლის ფრენასავით ცურვაში დაოსტატებულ ამ პოლონელს ბადალი არ ჰყავდა.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**ბრონდბიუ VS დინამო**

**ვის გაუგლის აიაქსის ბენჭი?**

7

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

1 ტური ანონსი

# თექვსმეტგუნდა — თეორემა დასამტკიცებლად

ათიდან თექვსმეტგუნდიან უმაღლეს ლიგაზე ისევე გადავერთეთ, რომ არც სპეციალისტების აზრი გაუთვალისწინებიათ და არც არავისი – გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საკითხზე კამათი და მსჯელობა არ ყოფილა. ეს ალბათ სამერმისოდ გადაიდება, როცა მკაფიოდ გამოჩნდება თექვსმეტგუნდას ღირსებები თუ ნაკლოვანებები. თუმც, იქნებ მერე სხვა-ბაასი საჭირო აღარც შეიქნეს. ახლა კი ის ვთქვათ, რა რესურსებით იწყებენ მეჩვიდმეტე ეროვნულს გუნდები

გორი. 30 ივლისი. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — სპარტაკი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ა. ნონიკაშვილი, მ. ბეუქლიშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

ბათუმი. 30 ივლისი. 17.30 საათი. დინამო

**ბათუმი — ბორჯომი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

ფოთი. 30 ივლისი. 17.30 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. 30 ივლისი. 17.30 საათი. შევარდენი

**სოხუმი — ცხინვალი**

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი); ინსპექტორი: ს. კუტივაძე

თელავი. 30 ივლისი. 17.30 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — დინამო**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 31 ივლისი. 17.30 საათი. ოლიმპი

**თბილისი — ზესტაფონი**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ურუშაძე (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); დ. კურტანიძე (თბილისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ქუთაისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ამერი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროღლი (ქარელი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. 1 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — სიონი**

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; დ. კვეტენაძე (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

### დინამო

წლევანდელმა ევროტურნირებმაც დაგვანახა, რომ „დინამო" მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ ქართულ გუნდებს. „დინამოს" კვლავაც საუკეთესო პირობები აქვს საქართველოში და ჩემპიონობის ფავორიტიც ის უნდა იყოს. ფაქტია, რომ „დინამოს" საქართველოს მასშტაბით საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს.

### ტორპედო

„ტორპედოს", როგორც იქნა, სპონსორი გამოუჩნდა, მაგრამ ეს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონისთვის „ტორპედო" მოუმზადებელია — გუნდს არ გაუვლია შეკრება, არ უწარმოებია სერიოზული სელექცია, გუნდიდან წავიდნენ წამყვანი ფეხბურთელები... ასეთნაირად ეგებება სეზონს საქართველოს სამგზის ჩემპიონი.

### თბილისი

გუნდს კვლავაც გიორგი დევდარიანი წვრთნის, თუმც ეს საკითხი დროულად ვერ გადაწყდა „თბილისში", რადგან მანამდე კლუბის მესვეურები იოჰან ბოსკამპის ჩამოყვანას ეშურებოდნენ. დევდარიანი ფაქტობრივად ნულიდან იწყებს და აცხადებს, მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენა იქნებაო — „თბილისი" ახლა იუნიორთა გუნდია და თინეიჯერებით მეტის მიღწევა წარმოუდგენელიც ჩანს.

### ლოკომოტივი

ლოკომოტიველთა დამრიგებელმა ნოდარ აკობიამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, არ ვეთანხმები იმის აზრს, ვინც ქადაგებს, „დინამოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენტი არ ეყოლებაო. ვინძლო, უეფას თასის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ „ბანანცთან" მარცხმა აკობიას აზრი შეაცვლევინოს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი მატჩით და ერთი სამარცხვინო მარცხით გუნდი არ ფასობს.

### ზესტაფონი

ფეროელებს საამსეზონოდ ერთი მყვირალა ტრანსფერიც არ განუხორციელებიათ, მაგრამ სტადიონის რეკონსტრუქციას სერიოზულად მიჰყვეს ხელი. „ზესტაფონი" არის ნაზავი გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელებისა, ფინანსურად შეძლებული გუნდი, რომელსაც საქართველოში ნებისმიერი რანგის მეტოქის დამარცხება შეუძლია.

### ვიტ ჯორჯია

გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და არა გვგონია, „ვიტ ჯორჯიამ" უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. თუმც ვიტელებს ახალგაზრდების წარმოჩენის კარგი ტრადიცია აქვთ და ამ სეზონშიც ალბათ ამის იმედად იქნებიან. „ვიტ ჯორჯია" ზედა ხუთეულიდან არ უნდა ჩამოქვეითდეს.

### სიონი

ბოლნისელებს ალბათ კაზრეთული მადნის მომპოვებელი „მადნეული" უპატრონებს, თუმც ყველაფერი ბოლომდე გარკვეული ჯერაც არაა. „სიონს" თბილისის „დინამო 2"-ის ყოფილი თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი წვრთნის და რამდენიმე დინამოელიც თავისთან იახლა. იყო დრო, „სიონი" ჩემპიონობისთვის იბრძოდა, მაგრამ ამ დროისთვის ასეთი პერსპექტივა არ აქვს.

### ბათუმი

თუ „ბათუმი" წინა სეზონის მიწურულს სულს ღაფავდა, ახლა თავს გაცილებით უკეთ გრძნობს — კლუბს სახსრები გამოუჩნდა და შესაძლოა, ჩემპიონატის პირველი ტურების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელიც დაიმატოს.

### ამერი

ეს არის გუნდი, რომელსაც სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია. ასეთი ალბათობის მიზეზი ნათელი და მარტივია: „ამერს" კარგი ინფრასტრუქტურა აქვს და უმაღლეს ლიგაში გამოცდილი ფეხბურთელების გარდა ნიჭიერი ახალგაზრდობაც ჰყავს — იტალიაში, ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ოქრო რომ აიღო, ამაში ხუთ ამერელსაც მიუძღვის წვლილი. „ამერი" საშინაო მატჩებს გლდანში ატარებს და ვინძლო, ტიპობრივად უბნის გუნდადაც გადაიქცეს.

### ბორჯომი

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ბორჯომი" ისეთი მოკრძალებული მიზნისვის არ იბრძოლებს, როგორიც არგავარდნაა — ბორჯომელებს გაცილებით მეტი შეუძლიათ. სეზონისწინა სელექციისას „ბორჯომმა" „თბილისიდან" წასულ ფეხბურთელებზე გააკეთა გათვლა. „ბორჯომს" ნორმალური პირობები აქვს, თუმც თავისი სტადიონი ბოლომდე ჯერ ვერ მოაწესრიგა და პირველ ტურებში საშინაო მატჩებს თბილისში, „ოლიმპის" სტადიონზე გამართავს.

### სპარტაკი

როცა „სპარტაკი" იქმნებოდა და ფრთებს შლიდა, კლუბის პრეზიდენტი როლანდ ჩხაიძე ამბობდა, სამ წელიწადში „სპარტაკი" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნებაო. შეგახსენებთ, „სპარტაკის" პრეზიდენტი რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, აკაკი ჩხაიძის ძმაა და ამ სიტყვებს „ვარდებამდე" ამბობდა. „სპარტაკი" შარშან პირველ ლიგაში თამაშობდა და მესამე ადგილზე გავიდა.

### კახეთი

თელავის „კახეთი" უმაღლეს ლიგაში ბოლოს 1996-97 წლებში თამაშობდა, ხოლო წინა სეზონის პირველ ლიგაში მეოთხე ადგილზე გავიდა. თქმა არ უნდა, თელავში ფეხბურთისადმი ინტერესი მოიმატებს, მაგრამ ამას ხვავი და ბარაქაც სჭირდება, ანუ ფული. თუ „კახეთს" დაფინანსება გაეზრდება, თელავიდან ქულის თუ ქულების წამოღება გაჭირდება.

### კოლხეთი

ფოთის „კოლხეთს" პორტის ნაცვლად მერია დააფინანსებს — ეს სტაბილურობას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ნიშნავს კი ეს „კოლხეთის" ოდინდელი პოზიციების დაბრუნებას? მეჩვიდმეტე ეროვნული სხვათა გარდა ამ კითხვასაც უპასუხებს.

### დილა

გორელები ახალი სეზონისთვის, ფაქტობრივად, ვერ მოემზადნენ, რადგან გუნდს სპონსორი ახლახან გამოუჩნდა — კასპის ცემენტის ქარხანა — და „დილას" ქომაგსაც იმედი გაუჩნდა, რომ მისი საყვარელი გუნდი აუტსაიდერებში აღარ ჩაცემენტდება.

### სოხუმი

სოხუმის „დინამოში" რამდენიმე სახელიანმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი, ისეთებმა, ეროვნულ ნაკრებშიც რომ უთამაშიათ, მაგრამ დიდი ფინანსური ზურგი კლუბს არ გააჩნია. სოხუმელები თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე უმასპინძლებენ მეტოქეებს. ჩვენი პროგნოზი ასეთია — სოხუმის „დინამო" ცხრილის შუაში იქნება.

### ცხინვალი

პოლიტიკურ-პატრიოტული პრინციპით უმაღლეს ლიგაში აღზევებული კიდევ ერთი გუნდი. „ცხინვალი" წინა სეზონში პირველ ლიგაში მეშვიდე ადგილს დასჯერდა. „ცხინვალი" სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და სეზონისწინა საკონტროლო მატჩებში ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, უფრო არგავარდნისთვის იბრძოლებს.



[illegible] ფოტო

**დავით თამართქილაძე**




ბესიკ ჩიმაკაძე, გიორგი ნიკურაძე, გიორგი დავითნიძე, სულიკო დავითაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჩიხრაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, ნუგზარ ბოჯგუა და ლევან აბაშიძე

# ამერი უკან არ დაიხევს

*თბილისის „ამერმა" ტრადიცია არ დაარღვია და, ბევრი სხვა კლუბისგან განსხვავებით, ჟურნალისტები სეზონისწინა პრესკონფერენციაზე მიგვიწვია. ტრადიციულადვე ჟურნალისტებს კლუბის ყოველწლიური ცნობარი და საკლუბო სუვენირები დაგვირიგეს.*

*სეზონისთვის მზადებაზე, შეკრებებზე, ახალწვეულებზე, ტრავმებზე, საკონტროლო მატჩებზე, მიზნებსა და სხვა თემებზე გუნდის თავკაცი გიორგი ჩიხრაძე, მისი თანაშემწე და იმავდროულად „ამერი 2"-ის მწვრთნელი ნუგზარ ბოჯგუა, ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი და ახალგაზრდა ფეხბურთელი ბესიკ ჩიმაკაძე გვესაუბრნენ. მათ გარდა კი ჟურნალისტების წინაშე ახალწვეული მეკარე გიორგი ნიკურაძე, კაპიტანი გიორგი დავითნიძე და მწვრთნელები: მიხეილ ჯიშკარიანი და ლევან აბაშიძეც წარდგნენ.*

*პრესკონფერენცია „ამერის" პრესსამსახურის უფროსმა გიორგი დარჯანიამ გახსნა, ზემოთ ჩამოთვლილი მწვრთნელ-ფეხბურთელები წარმოგვიდგინა და სიტყვა მთავარ მწვრთნელს დაუთმო...*

**გიორგი ჩიხრაძე**: ჯერ კიდევ წინა სეზონის დროს დავიწყეთ სასელექციო მუშაობა, ამის მაგალითი გიორგი ნიკურაძეა, რომელსაც რამდენიმე თვის წინ დავუკავშირდით და დღეს უკვე ჩვენი გუნდის წევრია. ფეხბურთელებს სხვადასხვა პოზიციების მიხედვითაც ვაკვირდებოდით. „ტორპედოდან" ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე და „ვიტ ჯორჯიადან" მცველი გიორგი კვახაძე დავიმატეთ. რამდენიმე ფეხბურთელი გასინჯვაზეც გვყავდა...

...სეზონისწინა მზადება ბაკურიანში დავიწყეთ. ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე გავაკეთეთ აქცენტი და საკმაოდ ნაყოფიერი შეკრებაც გამოგვივიდა. მერე თბილისში გავჩერდით ათი დღით, ამხანაგური მატჩები ჩავატარეთ „სიონთან" (2:0) და სოხუმის „დინამოსთან" (3:2) და აზერბაიჯანში წავედით მეორე შეკრებაზე...

....თავიდან უცხოური შეკრების გავლა სხვა ქვეყანაში გვსურდა, მაგრამ ჩემპიონატის ირგვლივ შექმნილი გაურკვევლობის გამო ვერ მოვახერხეთ. არ ვიცოდით, სეზონი როდის იწყებოდა ან რამდენგუნდიანი ჩემპიონატი გვექნებოდა და ამიტომ გადავწყვიტეთ აზერბაიჯანში წასვლა, სადაც ნორმალურ პირობებში ვემზადებოდით და ამხანაგური მატჩებიც ჩავატარეთ. საქართველოში დაბრუნებულებმა კი რამდენიმე დღის წინ მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ტესტ-მატჩი გავმართეთ „ცხინვალთან" (2:0).

...ვფიქრობ, სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ და იმედი მაქვს, ამას ჩემპიონატშიც ვაჩვენებთ...

**— ლინიანოს ახალგაზრდულ ფესტივალზე სათამაშოდ „ამერიდან" ხუთი ფეხბურთელი იყო მიწვეული საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში. როგორ ფორმაში დაბრუნდნენ ისინი?**

— ეს ბიჭები ნაკრებში საკმაოდ კარგად მომზადებულები წავიდნენ და მიხარია, რომ ამ წარმატებაში „ამერის" წვლილიც მნიშვნელოვანია. ჩამოსვლით, ცოტა არ იყოს, დაღლილები ჩამოვიდნენ, რეაბილიტაციამაც გარკვეული დრო წაიღო, თუმცა სადღეისოდ ნორმალურად გამოიყურებიან.

**— დავით სევასტოპულო, ამირან კედელაშვილი და დიმიტრი ტატანიშვილი ტრავმირებულები არიან. როდის შეძლებენ ისინი თამაშს?**

— სამწუხაროდ, რთულ ტრავმებს ვერ ავცდით. ტატანაშვილის ამბავი ადრევე ვიცოდით, ის ტრავმირებული მოვიდა ჩვენთან და არც ვგეგმავდით, რომ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდებოდა — მას კოჭის ნაწილობრივი მოტეხილობა აქვს. ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი სევასტოპულოს — ტერფის ძვალი აქვს გაბზარული, კედელაშვილი კი ბაკურიანში დაშავდა. ვფიქრობ, მათ სამ-ოთხ კვირაში თუ შეეძლებათ თამაში.

**— წინა სეზონში „ამერის" გეგმა უმაღლეს ლიგაში გადასვლა იყო. რა მიზნები გაქვთ ახლა?**

— ჩვენი ამოცანა ევროთასზე გასვლაა და ვნახოთ, რამდენად შევძლებთ ამის შესრულებას. ყოველ შემთხვევაში, „ამერი" უკან არ დაიხევს.

**— თქვენი აზრით, 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჯობს თუ 10-გუნდიანი?**

— ვფიქრობ, ათგუნდიანი უკეთესი იქნებოდა. უფრო მეტი კვალიფიციური ფეხბურთელი გადანაწილდებოდა გუნდებში და უფრო მეტი გარანტია იქნებოდა, რომ ესა თუ ის გუნდი უფულობის გამო არ დაიშლებოდა... მეორე მხრივ, რეგიონების გამოყენება და ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოჩენაც საინტერესოა და ამის შანსს 16-გუნდიანი ჩემპიონატი იძლევა. გააჩნია, როგორ მოახერხებს ფედერაცია ამის ორგანიზებას.

**— ვინ იბრძოლებს საპრიზო სამეულისთვის?**

— ალბათ, „დინამო", „ზესტაფონი", „ბორჯომი", „ლოკომოტივი" და „ვიტ ჯორჯია". ცხადია, „ამერიც" ეცდება, მათ არ ჩამორჩეს.

ამის შემდეგ ორიოდ სიტყვით „ამერი 2"-ის მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ ბოჯგუამაც** გაგვაცნო სამომავლო გეგმები:

— პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის, მიხარია, რომ „ამერში" ვმუშაობ. „ამერი 2"-ში ძალიან ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და არ გამოვრიცხავ, მალე ისინი მთავარ გუნდშიც გამოჩნდნენ. ჩვენი უპირველესი მიზანი ხომ ისაა, მთავარ გუნდს ფეხბურთელები მივაწოდოთ.

და საინტერესოა, რას ფიქრობს წინა სეზონის პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, 28 მატჩში 30 გოლის გამტანი **სულიკო დავითაშვილი**:

— ყველა თავდამსხმელის ოცნებაა, ბომბარდირი გახდეს და, ცხადია, მეც მინდა, ეს მოვახერხო. არა მგონია, ეს ძალიან ძნელი იყოს. მთავარი შრომა და მონდომებაა. თუმცა ჯერ გუნდის ინტერესებია გასათვალისწინებელი და მერე ყველა დანარჩენი — „ამერმა" მოიგოს და ბომბარდირობაზე გულს არ დავიწყვეტ.

**ბესიკ ჩიმაკაძე**, 17 წლის თავდამსხმელი, რომელმაც რეგიონალლიგაში 15 გოლი გაიტანა და ბომბარდირებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, უმაღლესლიგურ დებიუტზე ოცნებობს. როგორც გიორგი ჩიხრაძემ განაცხადა, „ამერში" თამაშის შანსი მის ნებისმიერ ფეხბურთელს აქვს და, ბუნებრივია, მათ შორის ჩიმაკაძესაც...

— მგონი, მზად ვარ, მწვრთნელის დავალება შევასრულო, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითადში ადგილი უკვე მეკუთვნის. ამის დამტკიცება ჩემი მიზანია და ვნახოთ, როგორ გამოვიყენებ შანსს.

პრესკონფერენციაც ამით მორჩა. შეგახსენებთ, რომ „ამერი" სეზონის პირველ მატჩს 1 აგვისტოს ქუთაისში „ტორპედოსთან" გამართავს.

**ძაბა შალამბერიძე**

# თბილისმა აკადემიური პილო

## გიორგი დევდარიანი: ჩემპიონატისთვის ჩემპიონატში მოვემზადებით

*ახალი გუნდი, ახალი პრეზიდენტი და ახალი მწვრთნელი – ამ სეზონისთვის „თბილისში" ყველაფერი ახალი იქნება. გუნდში ყველაზე უფროსი 24 წლის მეკარე გიორგი სომხიშვილია, უმრწემესი კი მთელი ცხრა ფეხბურთელი, 16-17 წლის ბიჭები. აი, ასეთი გუნდით ითამაშებს წლეულს „თბილისი", რომლის მიზანიც, შემადგენლობის შესაბამისად, მოკრძალებულია. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე კლუბის პრეზიდენტმა გოჩა თამაზაშვილმა და მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა თქვეს, ეს სეზონი „თბილისისთვის" გამოცდილების მიღებისა იქნება, ორ-სამ წელიწადში კი...*

**გოჩა თამაზაშვილი**: ჩვენი საფეხბურთო აკადემია არა მარტო თბილისში, საქართველოშიც ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი მოწაფეა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კლუბი მთლიანად ჩვენი აღზრდილებით დავაკომპლექტოთ, თუმც შესაძლოა ერთი-ორი შედარებით გამოცდილი ფეხბურთელიც დავიმატოთ. წლეულს „თბილისს" დიდი მიზნები არ აქვს, გუნდი ნელ-ნელა გაიზრდება და დაიხსომეთ ჩემი დღევანდელი სიტყვები, 2-3 წელიწადში ძალიან სერიოზული გუნდი გვეყოლება. ხელმძღვანელობა კლუბს და მწვრთნელებს განვითარებისთვის ყველანაირ პირობას უქმნის. გიორგი დევდარიანი „თბილისის" მწვრთნელად დავაბრუნეთ, მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში ის ძალიან პერსპექტიულია და ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს...

...„თბილისი" ახალ სეზონში ისევ ავლაბარში, „ოლიმპის" სტადიონზე ითამაშებს...

— „ზესტაფონმა" „თბილისის" ორი ჭაბუკი ფეხბურთელი, მცველი გიორგი ხიდეშელი და თავდამსხმელი დავით ჯანელიძე თვითნებურად მიითვისა. ამ ამბავს ჩვენ უყურადღებოდ, რა თქმა უნდა, არ დავტოვებთ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ამ ამბის თაობაზე წერილი უკვე გავუგზავნეთ და ახლა გერმანიიდან მის დაბრუნებას ველით. რაც უნდა იყოს, კლუბის უნებართვოდ ფეხბურთელების მითვისება არ შეიძლება. ვნახოთ, რას გვიპასუხებს ნოდარ ახალკაცი და ჩვენც პასუხის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

**გიორგი დევდარიანი**: ფაქტობრივად, ორი წელი უმუშევარი ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, ფეხბურთს არ ჩამოვრჩენოდი და ახლა უწინდელზე უფრო მომზადებული ვარ. უმუშევრობა უსაქმურობას არ ნიშნავს, საკუთარი თავის მიმართ უამრავი კითხვა მქონდა, გავეცანი ნაირ-ნაირ საფეხბურთო ლიტერატურას, მოსკოვში „ლოკომოტივის" საწვრთნელ პროცესს ვაკვირდებოდი, ვსწავლობდი. ვფიქრობ, ბევრ კითხვას პასუხი გავეცი და ახალ სეზონს გაცილებით უფრო განსწავლული შევხვდები. თუმც სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მაქვს. ფეხბურთელისა არ იყოს, ერთ-ორ წელიწადში ვერც ტოპ-კლასის მწვრთნელი გაიზრდება, მთელი ცხოვრება უნდა ისწავლო.

— „თბილისმა" სელექცია ორი კვირის წინ დაასრულა და გუნდსაც მზადება, ფაქტობრივად, ორი კვირის დაწყებული აქვს. სათანადო კონდიციებს ფეხბურთელები მიახლოებულნი არიან, თუმც ჩემპიონატის საწყის სამ ტურს ისე განვიხილავთ, როგორც მოსამზადებელს. აი, შემდეგ კი თითოეული ქულისთვის ვიბრძოლებთ და კარგი შედეგის მისაღწევად მაქსიმუმს გავაკეთებთ.

— ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს. მაგალითად, გოგი ფიფია 20 წლისაა, თუმც შეიძლება, „თბილისისთვის" ვეტერანად ჩავთვალოთ. მას ფეხბურთის თავისებური ხედვა აქვს და თავისი პიროვნული თვისებებით ჩვენი გუნდის ჭაბუკებისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია.

პრესკონფერენციის ბოლოს „თბილისის" „ვეტერანმა" ფორვარდმა **გოგი ფიფიამაც** თქვა:

— წლეულს „თბილისის" მიზანი გამოცდილების მიღებაა, საპრიზო ადგილებისთვის ვერ ვიბრძოლებთ და ჩვენთვის ეს არც კლუბის ხელმძღვანელობას მოუთხოვია. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ახლა მთავარი სწორედ გამოცდილებაა.

„თბილისი" ჩემპიონატის პირველი ტურის სახვალიო მატჩს შინ „ზესტაფონთან" გამართავს.

**ძობა ინასარიძე**



გოგი ფიფია, გიორგი დევდარიანი და გოჩა თამაზაშვილი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები




## დინამო თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზვიად სტურუა | 25.04.1978 |
| 2 | ირაკლი ზოიძე | 01.03.1969 |
| 3 | კახა ალადაშვილი | 11.08.1983 |
| 4 | დავით გიგაური | 15.01.1986 |
| 5 | სერგო ორბელაძე | 01.05.1982 |
| 6 | რევაზ ქემოკლიძე | 01.03.1979 |
| 7 | ალექსანდრე ამისულაშვილი | 20.08.1982 |
| 8 | ლევან აკობია | 11.02.1980 |
| 9 | ილია კანდელაკი | 26.12.1981 |
| 10 | ლაშა ნოზაძე | 18.03.1980 |
| 11 | კახა მახარაძე | 20.10.1987 |
| 12 | შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.1980 |
| 13 | დავით ოდიკაძე | 14.04.1981 |
| 14 | გიორგი ნავალოვსკი | 28.06.1986 |
| 15 | გიორგი ჭელიძე | 29.11.1984 |
| 16 | შოთა გრიგალაშვილი | 21.06.1986 |
| 17 | ლევან მელქაძე | 12.12.1979 |
| 18 | მიხეილ ბობოხიძე | 23.11.1981 |
| 19 | გიორგი მეგრელაძე | 21.07.1978 |
| 20 | სანდრო იაშვილი | 03.01.1985 |
| 21 | ვლადიმერ დვალიშვილი | 20.10.1987 |

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

## კახეთი თელავი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბექა ბურნაძე | 1984 |
| 2 | რატი იმერლიშვილი | 1988 |
| 3 | ლუკა ტეტიაშვილი | 1986 |
| 4 | ნიკა გელაშვილი | 1985 |
| 5 | გიორგი კევლიშვილი | 1985 |
| 6 | გიგა იაშვილი | 1986 |
| 7 | ზაქრო ბიძინაშვილი | 1987 |
| 8 | დავით იოსებაშვილი | 1986 |
| 9 | დავით ბურდული | 1978 |
| 10 | კონსტანტინე მეტრეველი | 1974 |
| 11 | ვეფხვია ტარულაშვილი | 1978 |
| 12 | მერაბ კუპრაშვილი | 1980 |
| 13 | ზვიად ლაბაძე | 1982 |
| 14 | ვალერიან ამირანიძე | 1983 |
| 15 | დავით ბედოიძე | 1980 |
| 16 | ვასილ არუდაშვილი | 1981 |
| 17 | კობა კობაიძე | 1979 |
| 18 | გიორგი ნადირაშვილი | 1983 |
| 19 | გელა ძამუნაშვილი | 1981 |
| 20 | ნიკა დავითაშვილი | 1982 |

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

## ლოკომოტივი თბილისი

| | |
|---|---|
| 1 | მიხეილ ჟღენტი |
| 2 | ზვიად ჩალაძე |
| 3 | ედიკ საჯაია |
| 4 | ლაშა ქებაძე |
| 5 | გიორგი კახელიშვილი |
| 6 | გიორგი ალავერდაშვილი |
| 7 | რამონ დე ანაია (ბრაზილია) |
| 8 | ირაკლი სირბილაძე |
| 9 | ისლომ ინომოვი (უზბეკეთი) |
| 10 | როინ ონიანი |
| 11 | ნიკა გაბლაია |
| 12 | გიორგი ბენდელიანი |
| 13 | გიორგი ონიანი |
| 14 | მიხეილ მახვილაძე |
| 15 | დაჩი ფოფხაძე |
| 16 | დავით სირაძე |

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

## ამერი თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 1 | რევაზ ნაჭყებია | 14.04.1972 |
| 2 | გიორგი ნიკურაძე | 01.10.1979 |
| 3 | ამირან კედელაშვილი | 10.07.1976 |
| 4 | გიორგი ელბაქიძე | 28.06.1988 |
| 5 | გიორგი დავითნიძე | 18.07.1978 |
| 6 | მირზა ბჟალავა | 05.02.1988 |
| 7 | ალექსანდრე კიდარაშვილი | 11.02.1978 |
| 8 | გიორგი დეკანოსიძე | 02.01.1981 |
| 9 | რატი წინამძღვრიშვილი | 22.03.1988 |
| 10 | გეგი გარუჩავა | 27.01.1983 |
| 11 | სულიკო დავითაშვილი | 11.12.1977 |
| 12 | ჯაბა ბერიანიძე | 22.08.1985 |
| 13 | დიმიტრი ტატანაშვილი | 19.10.1983 |
| 14 | დავით სევასტოპულო | 10.08.1982 |
| 15 | ოთარ ვარამიშვილი | 19.12.1981 |
| 16 | ვახტანგ ხვადაგიანი | 04.04.1972 |
| 17 | ალექსანდრე კოშკაძე | 04.12.1981 |
| 18 | გიორგი კვახაძე | 16.08.1981 |
| 19 | ლადო ნადირაშვილი | 12.02.1984 |
| 20 | ზურაბ გვაძაბია | 20.03.1988 |
| 21 | დავით მჭედლიშვილი | 05.04.1988 |
| 22 | გიორგი ნიკოლაიშვილი | 24.03.1988 |
| 23 | ბესიკ ჩიმაკაძე | 24.06.1988 |
| 24 | გივი ჩხეტიანი | 14.03.1984 |
| 25 | დენის დობროვოლსკი | 10.10.1985 |
| 26 | გიორგი სილაგავა | 26.05.1984 |
| 27 | ნიკა ნადირაძე | 15.10.1987 |

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

## ვიტ ჯორჯია თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 1 | გრიგოლ ბედიაშვილი | 07.02.1980 |
| 2 | მიხეილ მუჯრიშვილი | 30.04.1984 |
| 3 | არდალიონ მიქაბერიძე | 02.06.1986 |
| 4 | თენგიზ კობიაშვილი | 03.12.1975 |
| 5 | აკაკი ქუხილავა | 29.01.1983 |
| 6 | როდიონ ცხომარია | 09.08.1983 |
| 7 | გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.1983 |
| 8 | ლუკა რაზმაძე | 30.12.1983 |
| 9 | ლაშა მანწკავა | 22.12.1982 |
| 10 | ლევან კვარაცხელია | 30.06.1982 |
| 11 | დავით დიღმელაშვილი | 18.01.1980 |
| 12 | პავლე დათუნაიშვილი | 25.08.1983 |
| 13 | ოლეგ გველესიანი | 16.09.1980 |
| 14 | ოთარ მარცვალაძე | 14.07.1984 |
| 15 | ირაკლი ებანოიძე | 05.06.1983 |
| 16 | ვლადიმერ კობახიძე | 28.07.1983 |
| 17 | დავით ლომაია | 18.05.1985 |
| 18 | ლაშა ჯაფარიძე | 16.04.1985 |
| 19 | დავით აბშილავა | 03.03.1985 |
| 20 | ალექსანდრე კვახაძე | 17.08.1984 |
| 21 | გიორგი მელქაძე | 24.11.1984 |
| 22 | გიორგი დათუნაიშვილი | 09.02.1985 |
| 23 | ფარნაოზ კუსრაშვილი | 22.02.1987 |
| 24 | გიორგი ბერიაშვილი | 10.09.1986 |
| 25 | ზაზა სახოკია | 12.02.1984 |
| 26 | დავით იმედაშვილი | 16.12.1984 |

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

## ბორჯომი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ მამალაძე | 10.02.1982 |
| 2 | დავით მამარდაშვილი | 17.10.1977 |
| 3 | სანდრო ბურნაძე | 26.07.1974 |
| 4 | დავით ბაქრაძე | 06.06.1979 |
| 5 | გიორგი მემარნიშვილი | 28.03.1982 |
| 6 | ბესო მიქიაშვილი | 08.04.1985 |
| 7 | მიხეილ მესხი | 07.04.1978 |
| 8 | შოთა ჯიქია | 30.12.1984 |
| 9 | იური გაბისკირია | 01.09.1972 |
| 10 | რევაზ გეწაძე | 11.01.1985 |
| 11 | გიორგი ქორიძე | 11.09.1976 |
| 12 | ვლადიმერ გოჩაშვილი | 05.07.1976 |
| 13 | პაატა გვირჯიშვილი | 17.02.1978 |
| 14 | თორნიკე აფციაური | 28.11.1979 |
| 15 | ლაშა ჭელიძე | 13.09.1985 |
| 16 | თამაზ ნასყიდაშვილი | 01.12.1986 |
| 17 | დავით გოგიჩაიშვილი | 04.06.1986 |
| 18 | რევაზ ჯიქია (რუსეთი) | 01.09.1980 |

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

## თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 1 | გიორგი სომხიშვილი | 27.10.1980 |
| 2 | რევაზ თევდორაძე | 14.02.1988 |
| 3 | გედევან დარასელია | 26.10.1988 |
| 4 | მიხეილ თოფურია | 16.01.1988 |
| 5 | ლერი ხოხონიშვილი | 15.11.1987 |
| 6 | ნიკო კვასხვაძე | 15.04.1988 |
| 7 | ვახტანგ კვარაცხელია | 30.03.1988 |
| 8 | გაგა ბოჭოიძე | 28.10.1987 |
| 9 | გიორგი ბერიძე | 19.02.1985 |
| 10 | გიორგი იაშვილი | 29.09.1988 |
| 11 | ლაშა მიმინოშვილი | 11.09.1987 |
| 12 | რევაზ ბარაბაძე | 04.10.1988 |
| 13 | თეიმურაზ ბარამიძე | 16.08.1987 |
| 14 | გოგი ფიფია | 04.02.1985 |
| 15 | გიორგი დარსაძე | 29.09.1986 |
| 16 | ბესიკ ხაჭიპერაძე | 19.11.1984 |
| 17 | ნუკრი გოგოხია | 07.02.1988 |
| 18 | გიორგი ფოფხაძე | 29.09.1986 |
| 19 | გედევან ალავიძე | 16.01.1988 |

მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

## სპარტაკი თბილისი

| | |
|---|---|
| 1 | აკაკი დევაძე |
| 2 | ალექსანდრე იმნაიშვილი |
| 3 | თეიმურაზ მჭედლიშვილი |
| 4 | მიხეილ კოტრიკაძე |
| 5 | რატი ტაბიძე |
| 6 | არჩილ დანელია |
| 7 | ლაშა ჯანგიძე |
| 8 | დავით მაღლაფერიძე |
| 9 | გელა ხუბუა |
| 10 | თორნიკე ელიზბარაშვილი |
| 11 | კობა ნაზღაიძე |
| 12 | თორნიკე დემეტრაძე |
| 13 | გიორგი ჩანტლაძე |
| 14 | კობა კობალაძე |
| 15 | ონისე რიჟამაძე |
| 16 | სოსო ურუშაძე |
| 17 | ალექსი ლაბაძე |
| 18 | ვასილ ღუჭაშვილი |
| 19 | ავთანდილ მურვანიძე |
| 20 | დათა ფიფია |
| 21 | ლევან კბილცეცხლაშვილი |
| 22 | ირაკლი მალიჩავა |
| 23 | ლაშა ჯორბენაძე |

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

## ზესტაფონი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ქვაჩახია | 25.09.1973 |
| 2 | თენგიზ ბზიკაძე | 15.11.1986 |
| 3 | ზურაბ ძამსაშვილი | 13.10.1981 |
| 4 | შალვა ღონღაძე | 17.08.1978 |
| 5 | პაატა ფეზუაშვილი | 14.08.1978 |
| 6 | სევასტი თოდუა | 13.05.1976 |
| 7 | გოჩა სულაკაძე | 28.05.1978 |
| 8 | მიხეილ ბესარაშვილი | 07.11.1984 |
| 9 | კახა ჩხეტიანი | 24.02.1978 |
| 10 | გიორგი განუგრავა | 21.02.1988 |
| 11 | სერგეი ნუდნი (მოლდოვა) | 06.10.1980 |
| 12 | გიორგი თურმანიძე | 29.11.1973 |
| 13 | გოგა ფარქოსაძე | 30.12.1979 |
| 14 | ბექა გოცირიძე | 17.08.1988 |
| 15 | გიორგი იმედაძე | 02.10.1980 |
| 16 | რევაზ კვერნაძე | 25.08.1981 |
| 17 | ზურაბ იონანიძე | 02.12.1971 |
| 18 | დიმიტრი პარამონოვი | 02.08.1980 |

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

## კოლხეთი ფოთი

1 ზურაბ ბათიაშვილი
2 ილია ქუტიძე
3 ლევან მიქავა
4 ჯონი შალამბერიძე
5 ზვიად ქუთათელაძე
6 ლევან ლატარია
7 ლევან ვართაგავა
8 ედიშერ მარგალიტაძე
9 დავით ლოლუა
10 გიორგი გოგოხია
11 გიორგი კილასონია
12 ტარიელ ყურაშვილი
13 გოჩა გოჩალეიშვილი
14 ტატო ცეკვაშვილი
15 კახა თურქია
16 თემურ ფარულავა
17 მანუჩარ წიქარიშვილი
18 გიორგი კრასოვსკი
19 გიორგი სახოკია
20 გიორგი ტყებუჩავა
21 ზაზა გოროზია
22 დემურ სამსეიშვილი
23 ნიკოლოზ გრიგოლია

მწვრთნელი: სოსო ფილია

## ცხინვალი

| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგო ქესანაშვილი | 10.09.1972 |
| 2 | მიხეილ მოსიაშვილი | 25.08.1969 |
| 3 | დავით ხოხობაშვილი | 18.01.1977 |
| 4 | ზაზა ქობესაშვილი | 12.09.1972 |
| 5 | დავით ეჯოშვილი | 07.04.1976 |
| 6 | დავით მაისურაძე | 23.08.1978 |
| 7 | გიორგი მაისურაძე | 16.06.1985 |
| 8 | მიხეილ ფირსაევი | 18.02.1983 |
| 9 | დავით ბოლოთაშვილი | 14.05.1983 |
| 10 | პაატა ბაკარანძე | 20.03.1982 |
| 11 | გიორგი აბრამიშვილი | 15.07.1987 |
| 12 | გიორგი კაიდარაშვილი | 30.09.1985 |
| 13 | პაატა გამცემლიძე | 06.01.1974 |
| 14 | დავით ხანიშვილი | 27.04.1982 |
| 15 | დავით შუბითიძე | 11.07.1983 |
| 16 | გიორგი ლომიძე | 18.01.1977 |
| 17 | გიორგი ჩიტაია | 07.05.1978 |
| 18 | ბექა ჩიტაია | 20.03.1981 |
| 19 | რამაზ სოლოლაშვილი | 11.05.1979 |
| 20 | ლევან ჭულუხაძე | 08.06.1985 |
| 21 | გია ახალკაცი | 08.01.1987 |
| 22 | თამაზ გოშაძე | 25.08.1985 |

მწვრთნელი: ზურაბ მაისურაძე

## დილა გორი

1 თამაზ ილურიძე
2 საბა სულთანიშვილი
3 რევაზ ხაჭაპურიძე
4 მიხეილ თაყაძე
5 დავით ტლაშაძე
6 ირაკლი კობახიძე
7 ირაკლი თაყაძე
8 დავით ჯობაძე
9 კობა ხანიშვილი
10 ლევან გოჩაშვილი
11 გიორგი მასურაშვილი
12 ალექსანდრე ლაბაძე
13 გივი ქარქუზაშვილი
14 ქრისტეფორე შატაკიშვილი
15 გიორგი რევაზიშვილი
16 პაატა ნასყიდაშვილი
17 გურამ ნადირაძე
18 ირაკლი თომაშვილი
19 ირაკლი საყვარელიძე
20 არჩილ ოლგესაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

## დინამო სოხუმი

1 ავთანდილ ლაბაძე
2 ლაშა ეგაძე
3 გია ჩხაიძე
4 თენგიზ უგრეხელიძე
5 ლაშა სილაგაძე
6 გიგა ყვანია
7 შოთა ჩომახიძე
8 კონსტანტინე სეფიაშვილი
9 ვალტერ გუჩუა
10 ბესიკ შენგელია
11 მამუკა რუსია
12 გოჩა მამფორია
13 გიორგი ხაჩიძე
14 ვაჟა ჭყოიძე
15 ვლადიმერ ერქვანია
16 მანუჩარ შამუგია
17 დავით კახელიშვილი
18 ლევან მაჩალაძე
19 ირაკლი თოლორდავა
20 ბექა ფარჯიანი

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

## ტორპედო ქუთაისი

## სიონი ბოლნისი

## დინამო ბათუმი

*განაცხადები არასრულია და მასში ცვლილებები კიდევ მოხდება. „ბათუმის“, ბოლნისის „სიონისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ განაცხადები დღეისთვის იქნება ფედერაციაში წარდგენილი და უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ.*

# საქართველოს 17 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — კალენდარი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

30 ივლისი, შაბათი
დილა – სპარტაკი
ბათუმი – ბორჯომი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
სოხუმი – ცხინვალი
კახეთი – დინამო
31 ივლისი, კვირა
თბილისი – ზესტაფონი
1 აგვისტო, ორშაბათი
ტორპედო – ამერი
ლოკომოტივი – სიონი

**მეორე ტური**

6 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – სოხუმი
ბორჯომი – კოლხეთი
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ლოკომოტივი
7 აგვისტო, კვირა
ამერი – ზესტაფონი
დინამო – თბილისი

**მესამე ტური**

19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი – ბორჯომი
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ამერი
დილა – ტორპედო
ბათუმი – სიონი
კოლხეთი – სპარტაკი
ზესტაფონი – დინამო
კახეთი – ვიტ ჯორჯია
21 აგვისტო, კვირა
თბილისი – ცხინვალი

**მეოთხე ტური**

27 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი – სოხუმი
ცხინვალი – ზესტაფონი
28 აგვისტო, კვირა
ამერი – დინამო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
ბორჯომი – კახეთი
სიონი – კოლხეთი
ტორპედო – ბათუმი
29 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი – დილა

**მეხუთე ტური**

9 სექტემბერი, პარასკევი
სოხუმი – სიონი
10 სექტემბერი, შაბათი
დილა – ამერი
ბათუმი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
კახეთი – სპარტაკი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ცხინვალი
11 სექტემბერი, კვირა
თბილისი – ბორჯომი

**მეექვსე ტური**

16 სექტემბერი, პარასკევი
სპარტაკი – თბილისი
17 სექტემბერი, შაბათი
ამერი – ცხინვალი
ბორჯომი – ზესტაფონი
სიონი – კახეთი
ტორპედო – სოხუმი
დილა – ბათუმი
18 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – დინამო
ლოკომოტივი – კოლხეთი

**მეშვიდე ტური**

24 სექტემბერი, შაბათი
დინამო – ბორჯომი
25 სექტემბერი, კვირა
ბათუმი – ამერი
კოლხეთი – დილა
სოხუმი – ლოკომოტივი
კახეთი – ტორპედო
ზესტაფონი – სპარტაკი
26 სექტემბერი, ორშაბათი
თბილისი – სიონი

**მერვე ტური**

30 სექტემბერი, პარასკევი
ამერი – ვიტ ჯორჯია
1 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი – ცხინვალი
სიონი – ზესტაფონი
ტორპედო – თბილისი
დილა – სოხუმი
ბათუმი – კოლხეთი
2 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი – დინამო
ლოკომოტივი – კახეთი

**მეცხრე ტური**

14 ოქტომბერი, პარასკევი
სოხუმი – ბათუმი
15 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი – ამერი
კახეთი – დილა
თბილისი – ლოკომოტივი
ზესტაფონი – ტორპედო
ცხინვალი – სპარტაკი
16 ოქტომბერი, კვირა
დინამო – სიონი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი

**მეათე ტური**

22 ოქტომბერი, შაბათი
ამერი – ბორჯომი
დილა – თბილისი
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – სოხუმი
23 ოქტომბერი, კვირა
სიონი – ცხინვალი
ტორპედო – დინამო
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ზესტაფონი

**მეთერთმეტე ტური**

30 ოქტომბერი, კვირა
სოხუმი – ამერი
კახეთი – კოლხეთი
ზესტაფონი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
ცხინვალი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბორჯომი – სპარტაკი
31 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი – ბათუმი

**მეთორმეტე ტური**

5 ნოემბერი, შაბათი
ამერი – სპარტაკი
სიონი – ბორჯომი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ზესტაფონი
კოლხეთი – თბილისი
6 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – ცხინვალი
დილა – დინამო
სოხუმი – კახეთი

**მეცამეტე ტური**

13 ნოემბერი, კვირა
კახეთი – ამერი
თბილისი – სოხუმი
ზესტაფონი – კოლხეთი
დინამო – ბათუმი
ცხინვალი – დილა
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ბორჯომი – ტორპედო
14 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი – სიონი

**მეთოთხმეტე ტური**

19 ნოემბერი, შაბათი
ამერი – სიონი
ტორპედო – სპარტაკი
ლოკომოტივი – ბორჯომი
დილა – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ცხინვალი
კოლხეთი – დინამო
კახეთი – თბილისი
20 ნოემბერი, კვირა
სოხუმი – ზესტაფონი

**მეთხუთმეტე ტური**

26 ნოემბერი, შაბათი
თბილისი – ამერი
ცხინვალი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ბორჯომი – დილა
სიონი – ტორპედო
27 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი – კახეთი
დინამო – სოხუმი
28 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი – ლოკომოტივი

სათასო დღეებია: 23-24 აგვისტო, 4-5 და 13-14 სექტემბერი, 8-9 ნოემბერი, 2-4 დეკემბერი

# ბექემმა პერესს შეუტია

## დაგვრჩა რამე აზიაში?!



დევიდ ბექემს აზიაში მოგზაურობა არ მოეწონა

**დევიდ ბექემი** მადრიდის „რეალის“ უფროსობას მიადგა და დაუფარავად გააკრიტიკა, აზიაში, ტურნეზე არ უნდა წავსულიყავითო.

„ჩემთვის და ბიჭებისთვის რთული დღეები იყო. ცხადია, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობამ ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედა. აკლიმატიზაცია ვერ გავიარეთ. მიუხედავად იმისა, რომ „რეალმა“ სულ რაღაც ხუთიოდე შეხვედრა ჩაატარა, დაღლილობისგან მკვდრებივით ვიყავით“ — უთხრა ბექემმა REAL MADRID TV-ის ჟურნალისტს.

ინგლისელს მსგავსი სარეკლამო ტურნირების მისამართით კეთილი სიტყვაც არ დასცდენია: „ჯერ ინტენსიური ვარჯიშების კურსს არ გავდივართ, ამიტომაც მთელი დატვირთვით თამაში ფიტავს ფეხბურთელებს. პირადად ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, აზიური ტურნეების მოწყობისგან თავს შევიკავებდი — აკლიმატიზაცია, რიტმიდან ამოვარდნა... სწორედ ამან განაპირობა „ტოკიო ვერდისთან“ 0:3 მარცხიც“.

ბექემის აზრს ფერნანდო გუტიერესიც იზიარებს, მადრიდის „რეალის“ სამედიცინო ცენტრის დირექტორი. მისი თქმით, საათობრივი სარტყლების სწრაფად ცვლა ფეხბურთელთა ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს.

„კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ვთხოვ, გუნდის ტურნეთა განრიგს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს. უმჯობესი იქნება, თუ „რეალი“ მხოლოდ ერთ ქვეყანაში იმოგზაურებს, მაშინ ფეხბურთელებს გარემოსთან შეგუების პრობლემები აღარ ექნებათ“ — აღნიშნა დოქტორმა გუტიერესმა.

**ლადო ხომერიკი**

# გამოცდილი ტაკინარდი პირინეებს გამოცდის

**ტურინის** „იუვენტუსი“ კიდევ ერთ ფეხბურთელს შეელია — ალესიო ტაკინარდი, რომელმაც „დელე ალპიზე“ 11 წელი გაატარა, მომავალ სეზონში „ვილიარეალის“ რიგებში ითამაშებს.

„ვილიარეალმა“, „იუვენტუსმა“ და ალესიო ტაკინარდიმ შეთანხმებას მიაღწიეს. ამას დიდი დრო არ დასჭირვებია. გამოცდილი იტალიელი ნახევარმცველი მომავალ სეზონში ჩვენთან თამაშებს“ — ნათქვამია ესპანური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

ტაკინარდიმ „ელ მადრიგალის“ ბინადრებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გახანგრძლივების პერსპექტივით, ხოლო შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს „იუვენტუსის“ შეუცვლელმა ფეხბურთელმა ტურინელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი უკვე ორი წელიწადია, რაც დაკარგა. წინა სეზონში ფაბიო კაპელო საერთოდ აღარ სწყალობდა, ხოლო „დელე ალპიზე“ პატრიკ ვიეირას გამოჩენის შემდეგ, 30 წლის ნახევარმცველმა საბოლოოდ გადაწყვიტა სხვა კლუბში გადასვლა.

„მე მინდა, ნახევარდაცვა გამოცდილი მოთამაშით გავაძლიერო, ტაკინარდი კი სწორედ ასეთია. მის მაღალ კლასში ეჭვს ვერავინ შეიტანს“ — თქვა „ვილიარეალის“ მთავარმა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ალესიო ტაკინარდი მეორე მოთამაშეა, რომელიც „ბიანკონერიმ“ ესპანეთში გაასხვისა — როგორც იცით, ცოტა ხნის წინ ენცო მარესკამ „სევილიას“ მაისურა მოირგო.



ალესიო ტაკინარდი

**გიორგი ძაძაბაძე**

# არსენალი და ფრედი

## ომობანა ეშბარტონ გროუვიზეც გაგრძელდება



ფრედერიკ ლიუნგბერგი

**ლონდონის** „არსენალმა“ შვედ ფრედი ლიუნგბერგთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და წერტილი დაუსვა მითქმა-მოთქმას მისი შესაძლო გასხვისების შესახებ — 29 წლის ნახევარმცველი „მეთოფეთა“ რიგებში 2009 წლის ზაფხულამდე დარჩება.

ფრედი ლიუნგბერგი: „არსენალში“ თითქმის 7 წელია, რაც ვთამაშობ და ძალიან მიხარია, რომ ახალი კონტრაქტი გავაფორმე. აქ ნამდვილად ბედნიერი ვარ. ახლა მომავალ სეზონს ველოდები და მინდა, კლუბთან ერთად ტიტულები კვლავ მოვიგო. ასევე 2006 წელს სიამოვნებით ვიბურთავებ ჩვენს ახალ სტადიონზე“.

1998 წელს შვედური „ჰალმსტადიდან“ „არსენალში“ გადასული ლიუნგბერგი მალევე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, თუმცა გასულ სეზონში მისი თამაში არც ისე დამაჯერებელი გახლდათ, რასაც შვედის ტრავმაც დაერთო. ამის გამო გავრცელდა ჭორები, სკანდინაველი „ჰაიბერის“ დატოვებს და ეგებ „რეალშიც“ კი გადაბარგდესო, მაგრამ...

რაც შეეხება „არსენალის“ ახალ სტადიონს, შეგახსენებთ, რომ მასზე „მეთოფეები“ 2006 წლის ზაფხულში გადავლენ — „ეშბარტონ გროუვი“ 60 ათას ქომაგს დაიტევს.

**გიორგი ძაძაბაძე**



ანდრეი შევჩენკო რომან აბრამოვიჩის „ჩელსიში“ არ ითამაშებს

# NOT FOR SALE

## შეეშვით შევას!

**როგორც ჩანს,** „მილანმა“ და „ჩელსიმ“ საბოლოოდ გადაწყვიტეს, წერტილი დაუსვან ანდრეი შევჩენკოს გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას. ორივე კლუბმა მორიგი განცხადება გააკეთა, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს უკრაინელის ლონდონში გადაბარგების შესაძლებლობას. არადა, ბრიტანული პრესა ახლაც ავრცელებს ჭორებს, რომან აბრამოვიჩი ფორვარდში უკვე 60 მილიონ გირვანქას იხდის და მალე ალბათ ტრანსფერიც შედგებაო.

„იმ ცნობების გათვალისწინებით, რომლებიც დღეს ბრიტანულმა ჟურნალ-გაზეთებმა გაავრცელეს, თავს ვალდებულად ვთვლით, კიდევ ერთი და კატეგორიული განაცხადება გავაკეთოთ. ჭორებს ნუ აჰყვებით, „ჩელსისთან“ არანაირი მოლაპარაკება არ ყოფილა და არც იქნება. ანდრეი შევჩენკო ხელშეუხებელია და იგი „მილანში“ ითამაშებს“ — ნათქვამია „როსონერის“ ოფიციალურ პრესრელიზში.

იგივე შინაარსის კომენტარი წინა დღით ლონდონურმა კლუბმაც გააკეთა: „ჩვენ არასოდეს არ ვაქცევთ ყურადღებას ჭორებს და არც ვსაუბრობთ მასზე, თუმცა ამ შემთხვევაში განცხადების გაკეთება აუცილებლად მიგვაჩნია, რადგანაც შევჩენკოს გარშემო ატეხილ აურზაურს „ჩელსის“ მოთამაშეები შეცდომაში შეჰყავს, რასაც არ დავუშვებთ. ჩვენ თავდამსხმელს არ ვეძებთ და ახლანდელი შემადგენლობა სავსებით გვაკმაყოფილებს“.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ ანდრეი შევჩენკო ამერიკაში აღარ ჩაფრინდება და კლუბს იტალიაში დაბრუნების შემდეგ შეუერთდება — უკრაინელი სახეზე ხელმეორე ოპერაციის შემდეგ ბოლომდე მწყობრში არ ჩამდგარა და ამიტომაც აშშ-ში გამგზავრების აზრს ვერ ხედავს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# აილტონი და შალკე

## ცალკე და მარტივად

**ბრაზილიელი** ფორვარდი აილტონი მომავალ სეზონში თურქულ „ბეშიქთაშში“ ითამაშებს. ტრანსფერი უკვე ოფიციალურად გაფორმდა. გერმანული პრესის ცნობით, სტამბოლელებმა „შალკეს“ დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაუხადეს. ახლა გელზენკირხენელები ამ ფულს 32 წლის აილტონის შემცვლელის შეძენას მოახმარენ.

შეგახსენებთ, რომ 2003-04 წლების სეზონში აილტონი 28 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირი, ხოლო „ვერდერი“ მისი მეცადინეობით ქვეყნის ჩემპიონი გახდა. გასულ სეზონში კი მან „შალკეს“ მაისურით მეტოქეებს 14 ბურთი გაუტანა, რაც გელზენკირხენელთა რიგებში საუკეთესო შედეგი იყო. აილტონი შეიქნა პირველი უცხოელი ფეხბურთელი, რომელიც გერმანიის წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს („ვერდერში“), თუმცა „შალკეს“ იგი ბოლომდე მაინც ვერ მოერგო და ორივე მხარემ განშორება გადაწყვიტა.

„ბოლო დეტალიც შევათანხმეთ და ტრანსფერი საკმაოდ მარტივად შედგა. მოსალაპარაკებლად ბევრი დრო არ დაგვჭირდა. თავად აილტონი ჩვენს ყველა წინადადებას ულაპარაკოდ დასთანხმდა. წარმატებებს ვუსურვებთ მას თავის ახალ კლუბთან ერთად“ — თქვა „შალკეს“ სპორტულმა დირექტორმა რუდი ასაუერმა.

**გიორგი ძაძაბაძე**




ბრაზილიელი აილტონი გელზენკირხენის „შალკეს“ ოფიციალურად გაეყარა

# ანტონიო, ზევრს ხომ არ ითხოვ?
## კასანომ რომას ულტიმატუმი წაუყენა

**უშედეგოდ** დასრულდა „რომასა“ და ანტონიო კასანოს შორის გამართული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. როგორც ირკვევა, „ჯალოროსის“ ერთ-ერთი მმართველი როზელა სენსი ორი საათის განმავლობაში ესაუბრა ფეხბურთელსა და მის აგენტს, მაგრამ მხარეები მაინც ვერ შეთანხმდნენ.

ამბობენ, კასანო ხუთწლიან კონტრაქტს ითხოვს, ხოლო ხელფასის სახით საერთო ჯამში 18 მილიონ გირვანქასო. რომაელები კი მხოლოდ 11 მილიონზე ყოფილან ყაბულს. მხარეები იმ კვირაში კიდევ ერთხელ შეეცდებიან საერთო ენის გამონახვას, მაგრამ მათ წინადადებებში ფინანსური თვალსაზრისით იმხელა სხვაობაა, რომ ძნელი სავარაუდოა, შეთანხმება შეძლონ.

მოგეხსენებათ, დედაქალაქებს რთული ფინანსური მდგომარეობა კვლავაც აქვთ. მეორეს მხრივ, ანტონიო კასანოს მოქმედ კონტრაქტს ვადა ერთი წლის მერე გასდის და მომავალ ზაფხულს იგი თავისუფალი აგენტი გახდება. შესაბამისად, თუ ახალი შეთანხმება ახლავე არ გაფორმდა, „რომა“ საერთოდ ხახამშრალი დარჩება. საუკეთესო გამოსავალი ალბათ 23 წლის ფორვარდის გასხვისებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბარიერი „გლადიატორთა“ სატრანსფერო ემბარგოა.

მართალია, რომაელებს კასანოს გაყიდვა შეუძლიათ, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ ფული უნდა მიიღონ, სხვაგვარ გარიგებაში მონაწილეობა აკრძალული აქვთ. ეს კი „ხულიგნის“ მსურველებს არა აძლევთ ხელს, რადგანაც კასანო საკმაოდ ძვირად ფასობს და ძნელად სავარუდოა, დიდძალი თანხა ვინმემ გადაიხადოს. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში კომპრომისზე წასვლა ალბათ ისევ „რომას“ მოუწევს.

პარალელურად, ახალი კლუბის ძიებას აგრძელებს „ჯალოროსის“ 30 წლის ნახევარმცველი ოლივიე დაკური. მოგეხსენებათ, მის სახელს „არსენალსა“ და „ლიონს“ უკავშირებენ. ბოლო დროს აქტიურობით საფრანგეთის ჩემპიონები გამოირჩევიან — საქმე ისაა, რომ „სტად ჟერლანს“ სავარაუდოდ, მიკაელ ესიენი მალე დატოვებს, მის შემცვლელად კი ლიონელებს სწორედ დაკური მიაჩნიათ.

„მე უკვე ვესაუბრე „ლიონის“ უფროსობას და ახლა უბრალოდ, უნდა დავიცადოთ. რაც შეეხება „არსენალს“, ლონდონელები არ დაგვკავშირებიან“ — თქვა დაკურის აგენტმა ბრუნო სატინმა.

„მომავალ სეზონში ჩემი მთავარი მიზანი იქნება, კარგი თამაშითა და გოლებით 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრა გავინალდო“ — ეს კი ვინჩენცო მონტელას სიტყვებია.

31 წლის ფორვარდი ეცდება, მარჩელო ლიპის თავი ისევ გამოაძახებინოს ნაკრებში და გერმანიაში „სკუადრა აძურას“ წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.

ვინჩენცო მონტელა: „ბომბარდირთა დავაში ჩემი მეტოქეები ალბათ იგივე ფორვარდები იქნებიან, რომლებსაც ბოლო სეზონებში რეგულარულად გააქვთ გოლები. სიურპრიზებს არ ველი. მთლიანობაში კი ბევრი რამ შეიცვალა. „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ინტერი“ სხვებზე ცოტათი უფრო ძლიერები არიან, მაგრამ ჩვენ ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებთ და ახალი თავკაცის, ლუჩანო სპალეტის დიდი იმედი გვაქვს“.

**გიორგი ძაძაგაძე**



ანტონიო კასანო ძვირადღირებული ფეხბურთელია

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| ბრონდბიუ ან დინამო თბილისი | – | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ბაზელი (შვეიცარია) | – | ვერდერი (გერმანია) |
| სელტიკი ან პეტრჟალკა | – | შერიფი ან პარტიზანი |
| შახტარი (უკრაინა) | – | ინტერი (იტალია) |
| სტიაუა ან შელბურნი | – | რუსენბორგი (ნორვეგია) |
| მანჩესტერი (ინგლისი) | – | ჰაიდუკი ან დებრეცენი |
| მაკაბი ან მალმიო | – | თუნი ან დინამო კიევი |
| ევერტონი (ინგლისი) | – | ვილიარეალი (ესპანეთი) |
| ლივერპული ან კაუნასი | – | ცსკა სოფია ან ტირანა |
| სპორტინგი (პორტუგალია) | – | უდინეზე (იტალია) |
| ჰაკა ან ვოლერენგა | – | ბრიუგე (ბელგია) |
| რაპიდი ან დუდელანჟი | – | ლოკომოტივი ან რაბოტნიჩკი |
| ნეფთჩი ან ანდერლეხტი | – | სლავია (ჩეხეთი) |
| ტრაბზონსპორი ან ანორთოსისი | – | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| ბეტისი (ესპანეთი) | – | მონაკო (საფრანგეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | – | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |

*პირველი მატჩები გაიმართება 9-10 აგვისტოს, საპასუხოები — 23-24 აგვისტოს*

# ამხანაგური მატჩი

**ვაშინგტონი (აშშ) 1:2 ჩელსი (ინგლისი)**

1:0 ბოსველი (31), 1:1 დაფი (36), 1:2 კრესპო (56)

ჩელსი: ჩეხი (კუდიჩინი 46), გ. ჯონსონი (პ. ფერეირა 46), ტერი (რ. კარვალიუ 46), გალასი (მუთი 46), ბრიჯი (ჯერემი 46), ჯ. კოული (ლ. დიარა 46), ტიაგუ (გუდიონსენი 57), იაროშიკი (ლამპარდი 46), შ. რაიტ-ფილიპსი (კ. კოული 46), დროგბა (კრესპო 46), დაფი (რობენი 46)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

მსაჯი: კევინ სკოტი (აშშ)

31 473 მაყურებელი



ერნან კრესპომ ამერიკელთა მეკარე პერკინსს გამარჯვების გოლი ასე გაიტანა

# ჩელსიმ ისევ მოიგო
## მაურინიუ გამარჯვებულსაც ასამართლებს

**ინგლისის** ჩემპიონმა „ჩელსიმ“ ამერიკული ტურნე წარმატებით გააგრძელა — „მილანის“ 1:0 ძლევის შემდეგ, ჟოზე მაურინიუს გუნდმა „ვაშინგტონი“ 2:1 დაამარცხა. ბრიტანელებმა არც ისე დამაჯერებლად ითამაშეს, რის გამოც პორტუგალიელი სპეციალისტის კრიტიკა არ ასცდათ.

პირველმა 30 წუთმა საკმაოდ ნელა, ამერიკელთა მცირე უპირატესობით ჩაიარა და ანგარიშიც მათ გახსნეს, ბობი ბოსველმა ზუსტი და ძლიერი თავური დარტყმით აიღო პეტრ ჩეხის კარი. ამან ლონდონელები აშკარად გამოაფხიზლა და რამდენიმე წუთში მშვენივრად მოთამაშე შონ რაიტ-ფილიპსის პასი დემიენ დაფმა შეირგო — ირლანდიელმა საკმაოდ ეფექტური დარტყმით ბურთი ამერიკელთა კარის შორეულ კუთხეში მოათავსა.

მეორე ნახევარში უფრო უკეთ „ჩელსი“ გამოიყურებოდა: 53-ე წუთზე არიენ რობენის პასით თითქოს თამაშგარეში მყოფმა ერნან კრესპომ იხეირა და როგორც შემდეგომში გაირკვა, შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა. „ვაშინგტონს“ ვერც ახალგაზრდა ვარსკლავის, ფრედი ადუს მინდორზე შესვლამ უშველა.

ჟოზე მაურინიუ: „პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. აღფრთოვანებული არც მეორე ნახევრით ვარ. ასევე არ დამაკმაყოფილა რამდენიმე ფეხბურთელის უნიათობამ. დადებითი მხოლოდ ის გახლდათ, რომ გაშვებული ბურთის შემდეგ ყველა გამოცოცხლდა, რადგანაც წაგება არ სურდათ“.

„ყველამ ნახეთ, რომ ცდა არ დაგვიკლია და ცუდად არ გამოვიყურებოდით. ჩემი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო კლუბს ვეთამაშეთ და დავუმტკიცეთ ჩვენი შესაძლებლობები“ — თქვა 16 წლის ადუმ.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ ამერიკულ ტურნეს კვირას, ნიუ იორკში დაასრულებს, როდესაც კიდევ ერთხელ შეხვდება „მილანს“.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ბრაზილია
### სერია A. XIV ტური

ფორტალეზა — ჟუვენტუდე 2:0; კორინთიანსი — კრუზეირო 4:3; ფლუმინენსე — გოიასი 1:1; სან კაეტანო — ბოტაფოგო 0:1; ატლ. მინეირო — სან პაულუ 0:0; ატლ. პარანენსე — ვასკუ და გამა 7:2; სანტოსი — პონტე პრეტა 0:1; ბრაზილიენსე — პაისანდუ 0:0; ფიგეირენსე — კურიტიბა 0:0; ფლამენგო — პალმეირასი 0:0; ინტერნასიონალი — პარანა 0:2

# ფინეთი
### ვეიკაუსლიგა. XVI ტური

**ლაჰტი 3:1 ტამპერე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 15 | 10 | 4 | 1 | 28:8 | 34 |
| ჰიკ | 15 | 8 | 7 | 0 | 24:13 | 31 |
| ჰაკა | 14 | 6 | 7 | 1 | 21:8 | 25 |
| ტამპერე | 13 | 6 | 4 | 3 | 18:13 | 22 |
| კტპ | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| ინტერი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:7 | 20 |
| ალიანსი | 14 | 4 | 8 | 2 | 16:19 | 20 |
| ლაჰტი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:28 | 18 |
| მარიეჰამნი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:18 | 16 |
| ტურკუ | 13 | 4 | 3 | 6 | 12:15 | 15 |
| როვანიემი | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| კუოპიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16:27 | 14 |
| იარო | 15 | 2 | 5 | 8 | 7:20 | 11 |
| ტპ 47 | 15 | 2 | 2 | 11 | 9:20 | 8 |

# შვედეთი
### ალსვენსკა. XV ტური

**ჰალმსტადი 0:2 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 15 | 9 | 3 | 3 | 31:16 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:20 | 27 |
| გიოტებორგი | 15 | 7 | 5 | 3 | 19:10 | 26 |
| მალმიო | 15 | 8 | 2 | 5 | 17:14 | 26 |
| ჰეკენი | 15 | 8 | 1 | 6 | 23:16 | 25 |
| კალმარი | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| ჰამარბი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:16 | 22 |
| ელფსბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 22 |
| ჰალმსტადი | 15 | 5 | 3 | 7 | 19:21 | 18 |
| გეფლე | 15 | 5 | 2 | 8 | 12:19 | 17 |
| ლანდსკრონა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:29 | 16 |
| იორგრიტე | 15 | 4 | 3 | 8 | 19:25 | 15 |
| ასირისკა | 15 | 4 | 1 | 10 | 13:18 | 13 |
| სუნდსვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |

# უეფას თასი 2005-2006
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლოკომოტივი (საქართველო) 0:2 ბანანცი (სომხეთი) (3:2)
ბატე (ბელარუსი) 5:0 ტორპედო (საქართველო) (1:0)
მტზ-რიპო (ბელარუსი) 1:2 ფერენცვაროში (უნგრეთი) (2:0)
მიკა (სომხეთი) 0:0 მაინცი (გერმანია) (0:4)
ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) (0:1)
ხაზარი (აზერბაიჯანი) 1:2 ნისტრუ (მოლდოვა) (1:3)
მიუპა (ფინეთი) 1:0 ტვმკ (ესტონეთი) (1:1)
დომზალე (სლოვენია) 3:0 დომანანო (სან მარინო) (5:0)
ატლანტასი (ლიტვა) 3:2 რილი (უელსი) (1:2)
დაჩია (მოლდოვა) 1:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (0:2)
ფლორა (ესტონეთი) 0:6 ესბიერგი (დანია) (2:1)
მეტალურგსი (ლატვია) 3:0 რუნავიკი (ფარერები) (3:0)
პეტანჟი (ლუქსემბურგი) 1:1 ალიანსი (ფინეთი) (0:3)
აპოელი (კვიპროსი) 4:0 ბირკირკარა (მალტა) (2:0)
ვიკინგი (ნორვეგია) 1:0 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) (2:1)
რაპიდი (რუმინეთი) 5:0 სანტა ჯულია (ანდორა) (5:0)
B-36 ტორსჰავნი (ფარერები) 2:1 ვესტმანაეიარი (ისლანდია) (1:1)
ზეპცე (ბოსნია) 1:1 ბაშკიმი (მაკედონია) (0:3)
ჟილინა (სლოვაკეთი) 3:1 ბაკი (აზერბაიჯანი) (0:1)
ვარდარი (მაკედონია) 0:0 ელბასანი (ალბანეთი) (1:1)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 3:0 ტეუტა (ალბანეთი) (1:3)
კარმარტენი (უელსი) 5:1 ლონგფორდი (ირლანდია) (0:2)
კორკ სიტი (ირლანდია) 0:1 ეკრანასი (ლიტვა) (2:0)
ჰიბერნიანსი (მალტა) 0:3 ომონია (კვიპროსი) (0:3)
კეფლავიკი (ისლანდია) 2:0 ეტცელა (ლუქსემბურგი) (4:0)

# სანტა ჯულია დაიბუგა
## ეტცელა გუნდია, გუნ-დი!



უეფას თასის დებიუტანტმა „მაინცმა“ სომხური „მიკა“ იოლად დაიბრიყვა

თბილისის „ლოკომოტივისა“ რა მოგახსენოთ ანდორის „სანტა ჯულიას“ კი არ გაუმართლა — რუმინულ „რაპიდთან“ საშინაო მარცხის (0:5) შემდეგ, ჯუჯა ანდორელებმა ბუქარესტში თავი არ დაზოგეს, აურაცხელი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და ხუთ გოლზე მეტი არ გაუშვეს. რაპიდელმა ბუგამ „სანტა ჯულიას“ ნახევარ საათში პოკერი შეუსრულა. მეორე ტაიმში კი მალდარასუნმა სტუმრებს მეხუთე გაუტანა. „რაპიდმა“ მხოლოდ ამის შემდეგ ინამუსა და ანდორელთა შეურაცხყოფას შეეშვა.

ესტონურმა „ფლორამ“ ორი კვირის წინ დანიაში, „ესბიერგს“ 2:1 მოუგო, რაც ტალინელებს თავადაც გაუკვირდათ. კიდევ უფრო საკვირველი იყო საპასუხო მატჩში „ფლორას“ მარცხი. მეთხუთმეტე წუთზე დანიელმა პოულსენმა სტუმრები დააწინაურა — 0:1. ორი მატჩის ჯამში ტალინელებს ეს ანგარიში ხელს აძლევდათ და დაცვაში „ჩასხდნენ“, რათა მეტი აღარ გაეშვათ. ორი წუთის განმავლობაში კარგად იცავდნენ თავს, მერე კი ცოტა აურიეს და სრულიად მოულოდნელად ზედიზედ ხუთი გოლი გაუშვეს. არადა, თითქოს კარგად თამაშობდნენ...

უიღბლობაზე დაიჩივლა მალტის „ბირკირკარას“ მწვრთნელმა კვიპროსში, „აპოელთან“ 0:4 წაგების შემდეგ. „ბირკირკარამ“ პირველი, საშინაო შეხვედრა 0:2 დათმო და მწვრთნელი იმუქრებოდა, სტუმრად მოვიგებთო. ნაღდად უნდა მოეგოთ. ჩინებურად ითამაშეს, ძელ-ხარიხა უმტვრიეს „აპოელის“ მეკარეს, მაგრამ მაინც მალტელებმა წააგეს. „აპოელის“ ფორვარდმა კაკლამანოსმა დუბლი შეასრულა, ნეიფიტუმ და გეორგიუმ კი თითო-თითო გოლი გაუტანეს მეტოქეს.

მალტურმა „ჰიბერნიანსმა“ დაამტკიცა, რომ „ბირკირკარაზე“ უკეთესი გუნდია, კვიპროსის „ომონიასთან“ შინ მხოლოდ 0:3 დათმო. „ჰიბერნიანსმა“ სტუმრად პირველი მატჩიც ასეთივე ანგარიშით წააგო და მალტური გუნდის ფეხბურთელებმა დაიფიცეს, შინ სამზე მეტს აღარ გავუშვებთო. თქვეს და შეასრულეს კიდეც.

ლუქსემბურგის „ეტცელას“ კი აშკარად ეტყობა, რომ გუნდია. პირველ, საშინაო შეხვედრაში „ეტცელა“ „კეფლავიკთან“ 0:4 დამარცხდა, მაგრამ ლუქსემბურგელთა მწვრთნელს ორი კვირა ეყო ბიჭების შესათამაშებლად და მეტოქის ტაქტიკის შესასწავლად. შედეგიც სახეზეა — „კეფლავიკმა“ საშინაო მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს და ორივე თამაშის ბოლო წუთებზე. მსაჯს ხუთი-ექვსი წუთი რომ დაემატებინა, „ეტცელა“ ერთ საპასუხო გოლს მაინც შეაგდებდა, მაგრამ ლუქსემბურგელები არბიტრმა „დაწვა“.

პროგრესი შეიმჩნევა სან მარინოს „დომანანოშიც“. ორი კვირის წინანდელი (0:5) მარცხი სლოვენიურ „დომზალესთან“ შემთხვევითობა იყო და სანმარინოელებმა ეს სლოვენიაში დაამტკიცეს. „დომანანომ“ თავიდანვე მძლავრად შეუტია მასპინძლებს და 23-ე წუთზე პირველი გოლი გაუშვა. როგორც ნამატჩევს მწვრთნელს უთქვამს, ბიჭები ამ გოლმა გატეხა და თამაში აღარ წაუვიდათ. მერე „დომზალეს“ ბრაზილიელმა ნიკეიჩმა მეორე მიაყოლა, ხოლო ჟელკოვიჩმა მეტად საეჭვო პენალტით მესამე გოლი შეაგდო.

ძალიან დაძაბული, საინტერესო და სანახაობრივი ფეხბურთი უთამაშიათ ბოსნიურ „ზეპცესა“ და მაკედონიურ „ბაშკიმს“. მატჩში ყოფილა ყველაფერი, რაც დიდ ფეხბურთს ამშვენებს. სტუმრები მიურჩევსკიმ დააწინაურა, მაგრამ თამაშის მიწურულს ზეპცელმა მეპიჩმა გაათანაბრა.

სლოვაკეთის ჩემპიონმა „პეტრჟალკამ“ გლაზგოს „სელტიკს“ 5:0 თუ მოუგო, სლოვაკურსავე „ჟილინას“ „ბაკის“ დაჩოქება გაუჭირდებოდა? მითუმეტეს, როცა „ჟილინას“ ფორვარდმა სტრაკამ მეშვიდე წუთზევე გახსნა ანგარიში, ნახევარი საათის შემდეგ კი სისოვსკიმ აზერბაიჯანელებს მეორე გაუტანა. პირველი ტაიმის მიწურულს ბაქოელებს მეკარე ჰალიდუ სისოკო გაუძევეს, ხოლო მასპინძლებს სტანისლავ შესტაკი.

მეორე ნახევარში მსაჯმა გუნდებს კიდევ თითო ფეხბურთელი მოაკლო და სტუმრებმა ლატვიელი ანდრეის შტოლცერსის წყალობით ერთი გაქვითეს. თამაშის ბოლოს ლაბანტმა მესამე გოლი „მიართვა“ „ბაკის“ და ცხრაკაცა ფეხბურთში სლოვაკებმა იმარჯვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| ინტერი (ხორვატია) | — | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |
| ბაშკიმი (მაკედონია) | — | მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) |
| დინამო (რუმინეთი) | — | ომონია (კვიპროსი) |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) | — | ოფკ (სერბეთი) |
| აპოელი (კვიპროსი) | — | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | — | რიეკა (ხორვატია) |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) | — | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| ვარდარი (მაკედონია) | — | რაპიდი (რუმინეთი) |
| პუბლიკუმი (სლოვენია) | — | ლევსკი (ბულგარეთი) |
| ზეტა (სერბეთი) | — | შიროკი ბრიეგი (ბოსნია) |
| დომზალე (სლოვენია) | — | აშდოდი (ისრაელი) |
| კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | — | ბატე (ბელარუსი) |
| შოპრონი (უნგრეთი) | — | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) |
| პლოცკი (პოლონეთი) | — | გრასჰოპერი (შვეიცარია) |
| ნისტრუ (მოლდოვა) | — | გრაცერი (ავსტრია) |
| აუსტრია (ავსტრია) | — | ჟილინა (სლოვაკეთი) |
| პაშინგი (ავსტრია) | — | ზენიტი (რუსეთი) |
| მტზ-რიპო (ბელარუსი) | — | ტეპლიცე (ჩეხეთი) |
| გროცლინი (პოლონეთი) | — | ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) |
| ბანანცი (სომხეთი) | — | დნიპრო (უკრაინა) |
| ლეგია (პოლონეთი) | — | ციურიხი (შვეიცარია) |
| ჰალმსტადი (შვედეთი) | — | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) |
| მიდტიულანდი (დანია) | — | B-36 ტორსჰავნი (ფარერები) |
| ბრანი (ნორვეგია) | — | ალიანსი (ფინეთი) |
| მეტალურგსი (ლატვია) | — | გენკი (ბელგია) |
| ვიკინგი (ნორვეგია) | — | რილი (უელსი) |
| ტპ-47 (ფინეთი) | — | დანდი იუნ. (შოტლანდია) |
| კარმარტენი (უელსი) | — | კოპენჰაგენი (დანია) |
| მაინცი (გერმანია) | — | კეფლავიკი (ისლანდია) |
| იურგორდენი (შვედეთი) | — | კორკ სიტი (ირლანდია) |
| ესბიერგი (დანია) | — | ტრომსიო (ნორვეგია) |

*პირველი მატჩები გაიმართება 11 აგვისტოს, საპასუხოები — 25 აგვისტოს*

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 15:30 | 294 | მოზერუელი-სელტიკი | 7.50 | 4.30 | 1.30 | 2.73 | 1.10 | 1.00 |
| 18:00 | 295 | დანდი-აბერდინი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 18:00 | 296 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 297 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18:00 | 298 | კილმარნოკი-ჰართსი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 17:00 | 299 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.75 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 16:00 | 1 | ერფურტი-კიოლნი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 16:00 | 2 | ვუპერტალი-ჯენა | 1.75 | 3.40 | 3.75 | 1.15 | 1.19 | 1.78 |
| 16:00 | 3 | კიკერსი ემდენი-ესენი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 16:00 | 4 | ობერჰაუზენი-კილი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 16:00 | 6 | ლიუბეკი-ვატენშეიდი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 16:00 | 9 | ჰერტა(მ)-მიუნსტერი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 21:30 | 11 | აუსტრია-რიდი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:30 | 12 | გრაცერი-მატერსბურგი | 1:35 | 4.50 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 21:30 | 13 | ზალცბურგი-რაპიდი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 21:30 | 14 | ტიროლი-ადმირა | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 21:30 | 10 | პაშინგი-შტურმი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 20:30 | 25 | ქსამაქსი-ივერდონი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 21:30 | 27 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 21:30 | 28 | ბაზელი-ციურიხი | 1.50 | 3.60 | 6.30 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| 21:30 | 29 | სტ.გალენი-თუნი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 21:30 | 33 | ლოკარნო-მეირინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 21:30 | 34 | ლოზანა-ლუცერნი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 21:30 | 35 | კრინსი-კონკორდია | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:30 | 36 | კიასო-ლუგანო | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 19:30 | 37 | იუვენტუსი-შო დე ფონი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 18:00 | 32 | ვადუცი-სიონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:30 | 38 | ბოლმი-ბელინცონა | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 19:15 | 39 | მარსელი-ბორდო | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 22:00 | 41 | ნიცა-ტრუა | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 42 | სოშო-ტულუზი | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 43 | სტ.ეტიენი-აიაჩო | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 22:00 | 44 | სტრასბური-ოსერი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 45 | ნანსი-მონაკო | 3.50 | 3.00 | 2.00 | 1.61 | 1.27 | 1.20 |
| 22:00 | 46 | ნანტი-ლანსი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 47 | ლილი-რენი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 20:00 | 48 | ლე მანი-ლიონი | 4.00 | 2.90 | 1.85 | 1.68 | 1.26 | 1.12 |

### რუსეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 14:00 | 58 | ამკარი-სპარტაკი | 4.00 | 3.00 | 1.85 | 1.71 | 1.26 | 1.14 |
| 14:00 | 59 | როსტოვი-სატურნი | 2.55 | 2.80 | 2.95 | 1.33 | 1.36 | 1.43 |
| 14:00 | 60 | ტერეკი-ზენიტი | 3.50 | 2.90 | 2.15 | 1.58 | 1.33 | 1.23 |
| 14:00 | 61 | რუბინი-მოსკოვი | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 14:00 | 62 | ლოკომოტივი-ცსკა | 2.75 | 2.80 | 2.70 | 1.38 | 1.36 | 1.37 |
| 14:00 | 63 | ტომსკი-კრილია | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 14:00 | 65 | შინიკი-დინამო | 3.10 | 2.80 | 2.30 | 1.47 | 1.32 | 1.26 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 14:00 | 64 | ალანია-ტორპედო | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |

### პოლონეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 19:00 | 82 | კორონა-ოდრა | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:00 | 83 | ლეჩნა-ლეგია | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| 21:00 | 84 | ვისლა-ბელჩატოვი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 21:00 | 85 | ზაგლებე-პოგონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 21:00 | 86 | გურნიკი-გროცლინი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 21:00 | 87 | პოლონია-პლოცკი | 2.45 | 3.00 | 2.60 | 1.34 | 1.26 | 1.39 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 21:00 | 88 | კრაკოვია-ამიკა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

### სლოვაკეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 20:00 | 92 | ბ.ბისტრიცა-ტრნავა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 20:00 | 93 | რუჟომბეროკი-ნიტრა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 22:00 | 91 | ჟილინა-დუბნიცა | 1.55 | 3.50 | 5.10 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| 12:30 | 94 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |

### ხორვატია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 20:00 | 95 | ვარტექსი-მედიმურიე | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 20:00 | 96 | სლავენი-კამენი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 20:00 | 97 | ოსიეკი-დინამო | 5.20 | 3.70 | 1.50 | 2.16 | 1.16 | 1.06 |
| 20:00 | 98 | ინტერი-პულა | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:00 | 99 | რიეკა-ციბალია | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 22:45 | 100 | ჰაიდუკი-ზაგრები | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

### დანია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 19:00 | 114 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| **31 ივლისი** | | | | | | | | |
| 17:00 | 115 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| 17:00 | 116 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 17:00 | 117 | ჰორსენსი-ოდენსე | 3.90 | 3.40 | 1.85 | 1.81 | 1.25 | 1.19 |
| 17:00 | 118 | სილკებორგი-სონდერიისკე | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:30 | 119 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |

### დანია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 ივლისი** | | | | | | | | |
| 17:00 | 120 | ჰელერუპი-ვეილე | 2.30 | 3.70 | 2.50 | 1.41 | 1.19 | 1.49 |
| 17:00 | 121 | ბრაბრანდი-კიოგე | 3.20 | 3.80 | 1.90 | 1.73 | 1.19 | 1.26 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 122 | სკიოლდი-რანდერსი | 3.85 | 3.70 | 1.70 | 1.88 | 1.17 | 1.16 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 123 | იოლსტიკე-აკადემისკი | 2.50 | 3.80 | 2.20 | 1.50 | 1.17 | 1.39 |
| 15:00 | 124 | ფრედერისია-ბრიონსჰიოი | 1.45 | 4.20 | 5.00 | 1.07 | 1.12 | 2.28 |
| 15:00 | 125 | ფრემი-ფრემადი | 1.60 | 3.80 | 4.40 | 1.12 | 1.17 | 2.03 |
| 17:00 | 126 | ჰერფიოლგე-ლინგბი | 2.35 | 3.70 | 2.40 | 1.43 | 1.18 | 1.45 |
| 17:00 | 127 | ნიკიობინგი-კოლდინგი | 2.10 | 3.80 | 2.70 | 1.35 | 1.18 | 1.57 |

## ნორვეგია. ტიპელიგა

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 129 | ლინი-ლილესტრიომი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 135 | ბრანი-ვოლერენგა | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 130 | ჰამარი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 131 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 132 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1.35 | 4.70 | 7.00 | 1.04 | 1.13 | 2.81 |
| 20:00 | 133 | სტარტი-მოლდე | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 134 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |

## შვედეთი. ალსვენსკა

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 141 | მალმიო-ელფსბორგი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 142 | ასირისკა-იორგრიტე | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 143 | კალმარი-სუნდსვალი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |

**1 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 144 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 145 | ჰელსინგბორგი-იურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 146 | გიოტებორგი-ჰეკენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |

## შვედეთი. სუპერეტა

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 147 | ლიუნგსკილე-გაის | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

**1 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 148 | ბოდენსი-იორებრო | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 21:00 | 149 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 150 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |

## ფინეთი

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 153 | ჰიკ-როვანიემი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 154 | ლაჰტი-ჰაკა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 156 | მიუპა-ტურკუ | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 20:00 | 157 | ტამპერე-კუოპიო | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 20:00 | 158 | იარო-მარიეჰამნი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |

## ირლანდია

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 164 | დროგედა-ლონგფორდი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 18:00 | 165 | სტ.პატრიკსი-კორკი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 18:00 | 166 | ბრეი-შემროკი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |

## მექსიკა

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 170 | მონტერეი-პაჩუკა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 171 | კრუს ასული-მორელია | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 23:45 | 172 | ჩივასი-ხაგუარესი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 23:45 | 173 | ვერაკრუსი-ატლასი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 23:45 | 174 | დორადოსი-ატლანტე | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 175 | ნეკახა-ტოლუკა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 176 | სან ლუისი-ტეკოსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 177 | სანტოსი-პუმასი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 178 | ამერიკა-ტიგრესი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

## ბრაზილია

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 190 | ვასკუ და გამა-სან კაეტანო | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 23:00 | 191 | გოიასი-ატლეტიკო მნ | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:00 | 192 | კრუზეირო-ფორტალესა | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |

**31 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 193 | ბოტაფოგო-ფლამენგო | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 23:00 | 194 | პონტე პრეტა-ინტერნასიონალი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:00 | 195 | სანტოსი-კორინთიანსი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 23:00 | 196 | ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:00 | 197 | კურიტიბა-ბრაზილიენსე | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 198 | ჟუვენტუდი-სან პაულუ | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 23:45 | 199 | პაისანდუ-პარანა | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:45 | 200 | პალმეირასი-ატლეტიკო პრ | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |

## ჩილე

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 201 | უ.კონსეპსიონი-რეინჯერსი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:00 | 202 | უნ.კატოლიკა-ტემუკო | 1.20 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.36 |
| 23:00 | 203 | უნ.ჩილე-პუერტო მონტი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:00 | 206 | სერენა-უნ.ესპანიოლა | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 23:00 | 207 | აუდაქსი-დ.კონსეპსიონი | 2,40 | 3.30 | 2.40 | 1.38 | 1.20 | 1.38 |
| 23:00 | 208 | პალესტინო-კობრელოა | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 23:00 | 209 | კოკიმბო-კოლო კოლო | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 210 | კობრესალი-უაჩიპატო | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |

## შოტლანდია

**თასი**

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 279 | არბროთი-სტრანრარი | 3.20 | 3.40 | 1.90 | 1.64 | 1.19 | 1.21 |
| 18:00 | 280 | ეარი-სტირლინგი | 2.30 | 3.30 | 2.50 | 1.35 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 281 | ბრეჩინი-კლაიდი | 2.25 | 3.30 | 2.55 | 1.33 | 1.19 | 1.43 |
| 17:00 | 282 | დანდი-ისტ სტირლინგი | 1.05 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 18:00 | 283 | ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური | 2.55 | 3.30 | 2.30 | 1.43 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 284 | სტ.ჯონსტონი-ალოა | 1.40 | 3.90 | 5.80 | 1.03 | 1.12 | 2.33 |
| 18:00 | 285 | სტ.მირენი-ფორფარი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| 18:00 | 286 | როსი-მონტროუზი | 1.45 | 3.90 | 5.20 | 1.05 | 1.13 | 2.22 |
| 18:00 | 287 | ქუინი-ალბიონი | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| 18:00 | 288 | ქუინზ პარკი-ჰამილტონი | 4.20 | 3.80 | 1.60 | 1.99 | 1.15 | 1.12 |
| 18:00 | 289 | რეითი-ელგინი | 1.50 | 3.90 | 4.70 | 1.08 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 290 | მორტონი-გრეტნა | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 291 | პარტიკი-კოუდენბითი | 1.50 | 3.90 | 4.50 | 1.08 | 1.12 | 2.08 |
| 18:00 | 292 | პიტერჰედი-ბერიკი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |

## ბელგია. სუპერთასი

**30 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 321 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

## ფორმულა 1 (უნგრეთი). 30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 80.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 40.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 3.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 3.50 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 7.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.60 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 12.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 100.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 20.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 35.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 300.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 65.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 65.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 90.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 250.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 250.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 15.00 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# ლინიანური ოქრო მქესას ლარად შეფასდა

**ლინიანოში**, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენი სპორტსმენები ბადრი პატარკაციშვილის სასახლიდან მეფურად რომ გააცილეს, თან დაპირდნენ, მედლებით დაბრუნებულებს უკეთეს დახვედრას მოგიწყობთო.

უკეთეს დახვედრაში რა იგულისხმებოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ სამი კვირის წინათ შეჯიბრებამოლეულ ჩვენს თავგამოჩენილ სპორტსმენებს შეხვედრა გუშინ მოუწყვეს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. ამ შეხვედრაზე მედალოსნებს პრემიალური თანხაც გადასცეს, ჩემპიონებს — 600-600, მესამე პრიზიორს კი 300 ლარი.

რაკი ძველი ამბავია, შეგახსენებთ, რომ ლინიანოში ჩვენმა სპორტსმენებმა სამი ოქროს და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონობა დაიმსახურა ჩვენმა ფეხბურთელთა გუნდმა და ორმა ძიუდოისტმა, ერთი კი ბრინჯაოთი დაგვიბრუნდა.

საქართველოს წარგზავნილები მედლების ხარისხის მიხედვით მე-13 ადგილზე გავიდნენ, ხოლო რაოდენობის მხრივ 26-28 ადგილები გაიყვეს.

| ქვეყნები | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | 17 | 16 | 12 | 45 |
| 2 იტალია | 14 | 7 | 13 | 34 |
| 3 დ. ბრიტანეთი | 11 | 5 | 5 | 22 |
| 4 გერმანია | 6 | 11 | 7 | 24 |
| 5 ნიდერლანდები | 6 | 2 | 4 | 12 |
| 6 ესპანეთი | 5 | 6 | 5 | 16 |
| 7 უკრაინა | 4 | 6 | 3 | 13 |
| 8 ბელარუსია | 4 | 5 | 2 | 11 |
| 9 ბელგია | 4 | 1 | 6 | 11 |
| 10 სლოვენია | 4 | 2 | 1 | 7 |
| 11 ესტონეთი | 4 | 1 | 0 | 5 |
| 12 უნგრეთი | 3 | 9 | 9 | 21 |
| 13 საქართველო | 3 | 0 | 1 | 4 |
| 14 ლატვია | 2 | 3 | 4 | 9 |
| 15 პორტუგალია | 2 | 3 | 4 | 9 |
| 16 ხორვატია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 17 დანია | 2 | 1 | 3 | 6 |
| 18 ისრაელი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 19 აზერბაიჯანი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 20 ავსტრია | 2 | 0 | 1 | 3 |
| 21 პოლონეთი | 1 | 5 | 3 | 9 |
| 22 რუმინეთი | 1 | 5 | 2 | 8 |
| 23 სერბეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| 24 შვეიცარია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 25 შვედეთი | 1 | 2 | 0 | 3 |
| 26 საფრანგეთი | 1 | 1 | 8 | 10 |
| 27 თურქეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 28 ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 29 კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 30 ჩეხეთი | 0 | 3 | 3 | 6 |
| 31 მოლდავეთი | 0 | 2 | 4 | 6 |
| 32 ირლანდია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 33 ნორვეგია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 34 საბერძნეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 35 ლიტვა | 0 | 0 | 5 | 5 |
| 36 სლოვაკეთი | 0 | 0 | 3 | 3 |
| 37 სომხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

# ბორჯომს კონკურენტი მოაკლდა

**გუშინწინ** ამოიწურა 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მასპინძლობის მსურველთა განცხადებების მიღება. როგორც ვიუწყებოდით ამგვარი განაცხადი ბორჯომთან ერთად კიდევ შვიდმა ქალაქმა გააკეთა. მათ შორის ანესი-ც (საფრანგეთი). თუმცა, ეტყობა, საფრანგეთის ამ ქალაქმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და თავისი კანდიდატურა უკან გაიხმო.

ასე იყო თუ ისე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა XXII თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ქალაქები. ესენია: ალმათი (ყაზახეთი), ბორჯომი, ზალცბურგი (ავსტრია), პენჩანგი (სამხრეთ კორეა), სოფია (ბულგარეთი) და ხაკა (ესპანეთი).

ერთხელაც შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა გაირკვევა 2007 წელს გვატემალაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, სადაც კანდიდატ ქალაქებს შორის კენჭისყრა გაიმართება. მანამდე კი კანდიდატებს ეძლევათ დრო, რათა სათანადო დონეზე მოამზადონ ოლიმპიური ობიექტები და ინფრასტრუქტურა.

## ბეისბოლი

# ქართველებმა ევროპირველობა ჩემპიონების ძლევით დაიწყეს

**პოლონეთის** პატარა ქალაქ მეისკა გორკაში 16-წლამდელ ბეისბოლისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. მასზე სათამაშოდ შვიდი ნაკრები ჩავიდა, მათ შორის საქართველოც და გუშინ ჯგუფური ტურნირის პირველი ტური ჩატარდა. ნუგზარ კაპანაძისა და გია გოგორიკიძის შეგირდები ჰოლანდიას შეხვდნენ და 13:6 დაამარცხეს.

„ჰოლანდიის ნაკრები ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად იყო დასახელებული და ჩვენი ბიჭებისგან მათ ძლევას ალბათ ბევრიც არ ელოდა — გვითხრა გუშინ საქართველოს ბეისბოლისა და სოფთბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ — შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი სწორედ ჰოლანდიელებმა მოიგეს. 13:6 კი გავიმარჯვეთ, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, მეტოქე უფრო დიდი უპირატესობით დაგვემარცხებინა. ერთხანს ანგარიში 13:1-იც იყო. თუმცა მწვრთნელებმა მოედანზე ყველა უთამაშებელი შეუშვეს და სხვაობა ოდნავ შემცირდა.

ეს გუნდი ქალაქის სპორტის სამსახურის ოლიმპიური რეზერვების სკოლის ბაზაზეა შექმნილი და წარმატებისთვის ბრძოლაც შეუძლია".

მეორე შეხვედრას ქართველები დღეს საღამოს გერმანიასთან გამართავენ. ტურნირის სისტემა კი ასეთია: ჯგუფურ ეტაპზე ყველა ყველასთან ითამაშებს და პირველ-მეორე ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან.

ევროპირველობა 5 აგვისტოს დასრულდება და ჩემპიონი რამდენიმე დღეში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





კიმ კლაისტერსი



ლინდსი დევენპორტი

# დევენპორტს ტრავმა გაე-წელა

**BANK OF WEST CLASIC**
**სტენფორდი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 585 ათასი $**

**მეორე წრე**

**ანა-ლინა გრიონეფელდი** (გერმანია) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 5:0 *დევენპორტმა შეწყვიტა;* **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:1 6:2; **ივეტა ბენეშოვა** (სლოვაკეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (8, იტალია) 3:6 6:3 7:6 7:4); **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:4 3:6 6:1

**ტურნირის** შარშანდელი ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი წლეულს თავისი მეოთხე სტენფორდული ტიტულის მოხვეჭას ლამობდა, მაგრამ — მეტოქეებს ვინ ჩივის — ამის გაკეთება უწინარესად მტკივანმა წელმა არ დაანება. ცუგრუმელა გერმანელ ანა-ლინა გრიონეფელდთან საბუქნაოდ გასულს ჯერ კიდევ უიმბლდონურ ფინალში თავჩენილმა ტრავმამ პირველივე გეიმიდან გაუჩმახა და სწორედ ამის გამო იყო, 0:5 რომ ჩამორჩა. როცა ტკივილი უკვე აუტანელი გახდა, ლინდსიმ მასაჟისტს უხმო, ხოლო წელი ვერც ამ უკანასკნელის მელვლემარე თითებმა რომ ვერ დაუამეს, მან ჩოგნის დაშალითება არჩია. არჩია და დააშალითა კიდეც, მარტინა ნავრატილოვას ბოლოდროინდელმა ნორჩმა მეწყვილემ კი მეოთხედფინალისკენ გაივაკა.

ახლა ჩემი უმთავრესი მიზანი აშშ-ის ღია პირველობამდე ტრავმის მოშუშებააო, ამბობდა ნამატჩევს ლინდსი და მერე სევდიანად დასძენდა, მთელი ჩემი ცხოვრება მკურნალობა, კვება და ვარჯიში იყოო...

მახლას!

სხვაფრივ — სტენფორდშია და მისთვის ჩვეული ფლამანდურ-ბარაქიანული სტილით ირჯება ფუმფულა კიმ კლაისტერსი. იმ დღეს მან აი სუგიამას გადაუარა და მასთან საკარიერო დაპირისპირებაში უკვე 5:3 დაწინაურდა.

**GENERALI OPEN**
**კიცბიუელი. თიხნარი.**
**საპრიზო 625 ათასი €**

**მესამე წრე**

**ვიქტორ ჰანესკუ** (15, რუმინეთი) — მარიანო პუერტა (2, არგენტინა) 6:4 6:3; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:4 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) 4:6 7:5 6:3; **მიხაილ იუჟნი** (6, რუსეთი) — ანდრეი პაველი (10, რუმინეთი) 6:2 *პაველმა შეწყვიტა;* **ნიკოლას მასუ** (7, ჩილე) — შტეფან კუბეკი ავსტრია) 7:5 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — იურგენ მელცერი (9, ავსტრია) 1:6 6:2 6:1; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3 4:6 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5 6:1

**დღის** მთავარ მოულოდნელობად რუმინელი ვიქტორ ჰანესკუს მიერ წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტ მარიანო პუერტას გაბუნძულება იქცა. უკანახაზიდან დიდებულად მოგლაჯუნე არგენტინელმა ვერაფერი გააწყო მეტოქის უჩვეულოდ ზუსტი და მძლავრი მოწოდების წინააღმდეგ.



ანდრე აგასი

**MERCEDES-BENZ CUP**
**ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 355 ათასი $**

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — კევინ კიმი აშშ) 6:2 7:5; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3 7:6 7:2); **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — პოლ გოლდშტაინი (აშშ) 6:1 6:4

**ორთვიანი** პაუზის შემდეგ კორტზე მობრუნებული ანდრე აგასი ერთობ ლაღად და მჩქეფარედ გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, ისეთ უსახელო მეტოქეებს, როგორიც ფრანგი ჟან-რენე ლისნარი (პირველ წრეში) და ამერიკელი კევინ კიმია, 35 წლის არმენოამერიკელმა მართლაც ყოველგვარი დაძაბულობისა და ზედმეტი ოფლიანობის გარეშე აჯობა.

თუმცა ნამატჩევს მისთვის დასმულ კითხვაზე, როგორ გრძნობთ, შეძლებთ თუ არა ტურნირის მეოთხედ მოგებასო, მან მაინც ფრთხილი პასუხის გაცემა არჩია — მეოთხედფინალში პარადორნ შრიჩაფანს ვხვდები და ეგ კი ახლა მაგრად უბრახუნებსო.

და, დასტურ — პიტალო ტაილანდელმა ამ ტურნირზე მიჯრით ორი მატჩის მოგება შეძლო, რაც, უკეთუ კარგად მოვიგონებთ, მას ბოლოჯერ მხოლოდ 14 ტურნირის წინ გამოუვიდა. ამ ზაფხულისთვის მართლაც გამორჩევით ვემზადე, ახლა ხოშიან ფორმაში ვარ და უ-ტა-ტა-ტა-ტა-ტაო, ამბობდა თავად პარადორნი და ეგებ ვინმე საქმეში ჩაუხედავი მისი ბაქი-ბუქით დაბოლებულიყო კიდეც. ჩვენ კი, მოწყალეო მკითხველო, დაბოლებას კაი შაშანურის გადაყლურწვა გვირჩევნია, რასაც — რაწამს შებერებული აგასი საამისო საბაბს მოგვცემს — მყისვე ხალისით განვახორციელებთ.

**ხორვატიის ღია პირველობა**
**უმაგი. თიხნარი.**
**საპრიზო 319 ათასი €**

**მეორე წრე**

**ტომი რობრედო** (3, ესპანეთი) — ივანკო ტიპსარევიჩი (სდჩ) 6:3 6:1; **დავიდ ფერერი** 4, (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2 6:3; **ფილიპო ვოლანდრი** (8, იტალია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:1 6:1; **კარლოს მოია** 6, (ესპანეთი) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:3 6:1

# აზმაიფარაშვილმა კარპოვთან თავი გაიმართლა, მაკროპულოსმა კი ფული შეახსენა

**სამი კვირის** წინ მსოფლიოს მე-12 ჩემპიონმა, რუსმა ანატოლი კარპოვმა საჭადრაკო სამყაროში შექმნილ ქაოსზე ისაუბრა და ამაში ყველაზე მეტად ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი და მისი ქართველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი დაადანაშაულა.

„საჭადრაკო სამყაროში ასეთი ქაოსი რომ არის, კირსან ილუმჟინოვის ბრალია. მან და მისმა ბანდამ რაც შეიძლება მალე უნდა დატოვონ ეს სპორტი, განსაკუთრებით კი ზურაბ აზმაიფარაშვილის მსგავსებმა. დიდი სირცხვილია, როცა ასეთი კაცი ფიდეს გუნდშია, იგი ესპანეთში შეშლილივით მივარდა პოლიციელებს.

დღეს ჭადრაკის ბევრი გულშემატკივარი ვერ გეტყვით, ვინ არის 2000 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონი, არადა, მანამდე ჭადრაკის არსებობის 110-წლიან ისტორიას ზეპირად მოგიყვებოდნენ" — განაცხადა კარპოვმა.

ქართველმა დიდოსტატმა კარპოვის კომენტარზე განცხადება მოგვიანებით, სამი კვირის შემდეგ გააკეთა და ესპანეთში მომხდარ ინციდენტზე თავის გასამართლებელი არგუმენტები მოიყვანა.

„ესპანეთში კალვიას ოლიმპიადაზე ჩემი კოლეგების ინტერესებს ვიცავდი. უბრალოდ, აღშფოთებული დავრჩი ოლიმპიადის ორგანიზატორთა ცუდი მუშაობით და სამართალდამცველებთანაც კონფლიქტი ამიტომ მომივიდა.

სხვათა შორის, ერთი კვირის წინ ამ ინციდენტთან დაკავშირებით სასამართლო პროცესიც გაიმართა და გამამართლეს. კარპოვისგან მსგავსი გამოხტომები უცხო არ არის.

ორი წლის წინ ბენიდორმის ტურნირზე კარპოვმა იქ მონაწილე დიდოსტატებს: ვიშვანათან ანანდს, ვესელინ ტოპალოვს, იუდიტ პოლგარს, თეიმურაზ რაჯაბოვს და სხვებს იდიოტები უწოდა, რადგან მის აზრს არ დაეთანხმნენ.

ტურნირის მთავარმა არბიტრმა, რომელიც წესდებას იცავდა, კარპოვი მონაწილეთა სიიდან ამორიცხა. ამის შემდეგ დიდოსტატმა საჭადრაკო სამყაროში თავისი გავლენა ბოროტად გამოიყენა და მას შემდეგ ეს ტურნირი აღარ იმართება. აი, ასეთი კაცია კარპოვი" — განაცხადა ქართველმა დიდოსტატმა.

კარპოვის განცხადებას პირველი ვიცე-პრეზიდენტი გეორგეოს მაკროპულოსიც გამოეხმაურა.

„კარპოვს, როგორც ჩანს, ფიდეს პრეზიდენტობა სურს და თავისი საარჩევნო კამპანია ცუდად დაიწყო. იგი აკრძალული ილეთებით იბრძვის. კარპოვის ნაცნობებს არ გაჰკვირვებიათ მისი ინტერვიუ, რადგანაც მსგავსი სიბინძურეები ადრეც გაუკეთებია".

მაკროპულოსმა არც თავისი კოლეგა აზმაიფარაშვილი დაივიწყა და მის სასარგებლოდ ილაპარაკა.

„აზმაიფარაშვილზე თქვა, პოლიციელებს შეშლილივით მივარდაო და ინციდენტიც მას დააბრალა, მაგრამ ხომ დაინახეთ, რომ ახლახან ზურაბი უდანაშაულოდ ცნეს. ასეთი მეთოდებით კარპოვი ისევ თავის თავს ავნებს.

ან რა იყო, ფიდეს ხელმძღვანელობას ბანდა რომ უწოდა. შევახსენებ, რომ მათში მეც შევდივარ და ამისთვის საკადრის პასუხს მოვთხოვ კარპოვს. ამის შემდეგ იგი ალბათ კიდევ გააგრძელებს ილუმჟინოვის კრიტიკას, მაგრამ გეტყვით, რომ ფიდეს არსებობის ისტორიაში კირსანი ერთადერთი პრეზიდენტია, რომელმაც მილიონები გაიღო ამ სპორტისთვის. სხვათა შორის, იმ მილიონებიდან ნაწილი კარპოვის ჯიბეშიც წავიდა".

**ლაშა გეგეჭკორი**





ანატოლი კარპოვი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

ბელიფორი. საფრანგეთი. 19-28 ივლისი



მაკა ფურცელაძე

# საფრანგეთში გოგონებს ხუთიანი დაუწერეს

**ფრანგულ** ბელფორში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი დასრულდა, სადაც ხუთ ასაკობრივ ჯგუფში 1113-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა და მათ შორის 18 ქართველი იყო.

ჩვენი მოჭადრაკეები წარმატებით გამოვიდნენ ჩემპიონატზე და სამშობლოში ხუთი მედლით დაბრუნდნენ, მედლებიდან კი ორი ოქროა, ორიც ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. აღსანიშნავია, რომ ხუთივე ჯილდო გოგონებმა მოინაგრეს.

ჩვენი მოზარდებიდან ყველაზე მეტად თორმეტწლამდელები გამოირჩნენ. მერი არაბიძემ 10 ქულით ერთი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა და კონკურენტებს შანსი აღარ დაუტოვა. ამდენი ქულა ამ ჩემპიონატზე საერთოდ არავის დაუგროვებია. თან მსოფლიოს პირველობებზე მერისთვის ეს მეორე ოქრო გამოდგა, შარშან მან ათწლიანებში იჩემპიონა.

ამავე ასაკობრივ ჯგუფში ორივე დარჩენილი მედალიც ჩვენ გვერგო. ნაზი პაიკიძემ ვერცხლი დაისაკუთრა, მარიამ დანელიამ კი — ბრინჯაო. თვრამეტწლამდელებში ჩემპიონი მაკა ფურცელაძე გახდა. მაკამ ერთი თვის წინ ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიოს პირველობის საგზურიც დაისაკუთრა და, შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ნამდვილი ტალანტი ეზრდება ქართულ ჭადრაკს.

თექვსმეტწლამდელებში ვერცხლი მირანდა მიქაძეს ერგო. ქართველი მოჭადრაკე ბოლო ტურამდე [illegible]ბდა ჩემპიონობის შანსს, თუმცა [illegible] იყოჩაღა და მეორეობას [illegible]

ამ მონაგარით ქართველებმა საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი აიღეს და ჟაკ შირაკის თასიც დაიმსახურეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

### გოგონები

| | |
|---|---|
| **ათწლამდელები** | |
| 22 ნანი უნაფქოშვილი | 6,5 ქულა |
| 30 ნინო ანაკიძე | 6 |
| **თორმეტწლამდელები** | |
| 1 მერი არაბიძე | 10 |
| 2 ნაზი პაიკიძე | 8 |
| 3 მარიამ დანელია | 8 |
| **თოთხმეტწლამდელები** | |
| 18 სოფო გურამიშვილი | 7 |
| **თექვსმეტწლამდელები** | |
| 2 მირანდა მიქაძე | 8,5 |
| 27 მერი ყორყოლიანი | 6,5 |
| **თვრამეტწლამდელები** | |
| 1 მაკა ფურცელაძე | 8,5 |
| 4 სალომე მელია | 8 |

### ვაჟები

| | |
|---|---|
| **ათწლამდელები** | |
| 16 ირაკლი ბერაძე | 7 |
| 89 გიგლა ბენიძე | 4,5 |
| **თორმეტწლამდელები** | |
| 19 ზურაბ ჯავახაძე | 7 |
| **თოთხმეტწლამდელები** | |
| 15 დავით ბენიძე | 7,5 |
| 66 გია ანაკიძე | 5,5 |
| **თექვსმეტწლამდელები** | |
| 18 თორნიკე სანიკიძე | 7,5 |
| 29 შოთა აზალაძე | 7 |
| **თვრამეტწლამდელები** | |
| 48 გიორგი მარგველაშვილი | 5 |

(მხოლოდ ქართველთა შედეგები)



ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქართული დროშაც აფრიალდა

# ქართველები ვიკინგთა ქვეყანაში



ბაადურ ჯობავა

**დღეს** შვედურ გიოტებორგში ევროპის საკლუბო ჩემპიონატი იწყება. გათამაშებაში 41 ვაჟთა და 27 ქალთა გუნდი იასპარეზებს და თითქმის ყველა ნაკრები საუკეთესო მოჭადრაკეებით იქნება დაკომპლექტებული.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებში ითამაშებენ ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი და ლევან ფანცულაია. თავიდან გუნდში ვალერიან გაფრინდაშვილი და ზვიად იზორიაც ირიცხებოდა, თუმც ისინი შვედეთში ვერ წავიდნენ და მათ ნაცვლად ქართველ ვაჟებს დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა დაემატება. ჯანჯღავა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციას ახლდა საფრანგეთში და შვედეთშიც პირდაპირ იქედან შეუერთდება გუნდს.

მანდილოსნებში იასპარეზებენ ნინო გურიელი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ქეთევან არახამია-გრანტი და ლელა ჯავახიშვილი.

გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე საქართველოს ნაკრებისთვის ჯერ კიდევ არ იყო მოძიებული საჭირო თანხა — 58 ათასი ლარი, რის გამოც ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ თანამდებობიდან გადადგომაზე ტელეფონით გააკეთა განცხადება, მაგრამ ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

საბოლოოდ ეს თანხა გამოიძებნა და დიდი წვალების შემდეგ ნაკრები ვიკინგთა ქვეყანაში გაფრინდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

სამი ერი 2005

# სამხრეთულ ზამთარს რაგბი გაახურებს

**ჩრდილოეთ** ნახევარსფეროს უმეტეს ნაწილში ზაფხულის პაპანაქება პიკს აღწევს და მზეც ნელნელა უფრო ულმობლად გვაჭერს. სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა ზამთარია, მაგრამ მალე ისეთი თამაშები გახურდება, რომ იქაურ რაგბის გულშემატკივარს ნაღდად დასცხება.

სამხრეთელთა 3 უდიდესი სარაგბო სამყარო დღეს სამი ერის თასის გათამაშებას წამოიწყებს და მიდით, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიისა და ზელანდიის წარსულისა და აწმყოს გადავხედოთ.

დღევანდელ ნომერში „ქურციკებზე" ვისაუბრებთ, ტურნირის მსვლელობისას კი ტრადიციული მიმოხილვების გარდა, არც დანარჩენ ორ გუნდზე მოვაკლებთ ინფორმაციას.

შორშან სამ ერზე სწორედ „ქურციკებმა" იმარჯვეს და მოქმედ ჩემპიონებადაც ითვლებიან. სხვა მხრივ კი აფრიკელები სამხრეთული რაგბის ბობოლებიდან ყველაზე ნაკლებ ტიტულიანი არიან.

ზემოხსენებული ტურნირი ბურების შთამომავლებმა შარშანდელის გარდა კიდევ ერთხელ მოიგეს და ეს ამბავი 1998 წელს მოხდა სამი წლით ადრე კი სამხრეთაფრიკელებმა მსოფლიოს ჩემპიონობა უჩვენაოთ. 2002 წელს „ქურციკებმა" მონაპოვარს ნელსონ მანდელას თასიც მიამატეს.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთაფრიკელებს სარაგბო კულტურა ოდითგანვე მოსდევთ, აპარტეიდის რეჟიმის გამო ისინი კარგა ხანს იყვნენ მოკვეთილნი ოფიციალური შეჯიბრებებიდან და მხოლოდ 1992 წელსღა დაბრუნდნენ მარაქაში. დაბრუნებას სამ წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონობა მოჰყვა, მაგრამ მწვრთნელ ნიკ მალეტის ხელში 1997-98 წლებში მიღწეულმა ზედიზედ 17-მა გამარჯვებამ ტესტმატჩებში, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს პირველობაც კი გადაფარა. 1999 წლიდან ნაკრების ისტორიაში რთული ხანა დაიწყო. „ქურციკებმა" რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალეს, თუმცა ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა. ერთადერთი ნათელი წერტილი ამ პერიოდში 2002 წელს მოგებული მანდელას თასი გახლდათ.

დღესდღეობით გუნდს სამხრეთ აფრიკის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი, ჯეიკ უაითი წვრთნის. სამხრეთაფრიკელთა ნაკრები მას 2003 წელს ჩააბარეს და მანაც იმდენი მოახერხა, რომ გუნდს ერთ წელიწადში ძველი დიდება დაუბრუნა და 3 ერის თასი მოაგებინა.

ნაკრებს ჯონ სმიტი კაპიტნობს. იგი „ქურციკების" მატჩ... რიგით 51-ე კაპიტანია. და ეს „პოსტი" მან 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშისას ჩაიბარა. თქვენც გეხსომებათ, ის თამაში აფრიკელებმა 46-19 მოგვიგეს.

სმიტის გარდა კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურა შალკ ბურგერი გახლავთ. მისი დებიუტი 2003 წელს ქარის თასის გათამაშებაში შედგა, სადაც დასავლეთის პროვინციის მაისურით თამაშობდა. რამდენიმე მატჩი საკმარისი აღმოჩნდა ჯეიკ უაითისთვის, რომ შალკი ნაკრებში მოეხმო.

21 წლის ბურგერს კაპიტნის გამოცდილებაც აქვს. 2003 წლის 21 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე „ქურციკებს" სწორედ ის ლიდერობდა.

დღეს სამხრეთ აფრიკა პრეტორიაში ავსტრალიის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ მატჩის პერსპექტივებზე ორშაბათის ნომერში ვისაუბრებთ, ახლა კი გათამაშების კალენდარს გაეცანით.

**ლადო ფულუკიძე**



შალკ ბურგერის გაჩერებას ბლომად ხალხი სჭირდება

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 ივლისი. | პრეტორია. | 13.00 | სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია |
| 6 აგვისტო. | კეიპტაუნი. | 13.00 | სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია |
| 13 აგვისტო. | სიდნეი. | 10.00 | ავსტრალია — ახალი ზელანდია |
| 20 აგვისტო. | პერთი. | 10.00 | ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა |
| 27 აგვისტო. | დუნედინი. | 7.35 | ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა |
| 3 სექტემბერი. | ოკლენდი. | 7.35 | ახალი ზელანდია — ავსტრალია |

ცხრილში მოცემულია გრინვიჩის დრო

ავტორბოლა






AFP ბუდაპეშტიდან

ფერნანდო ალონსოს ფანებმა დაბადების დღე მიულოცეს

# ჰუნგარორინგი იუბილარია

**უნგრულ ეტაპს** იუბილე აქვს — ხვალ მეოცედ გათამაშდება იქაური დიდი პრიზი. 1986 წელს სულ რაღაც ათ თვეში აგებული „ჰუნგარორინგი" ყველაზე ნელი (მონტე კარლოს ქუჩებს თუ არ ჩავთვლით) და თითქმის უმოკლესი ტრასაა. გამორჩეული უსაფრთხოების მიუხედავად, ჩახვეული, ცხელი და მტვრიანი ტრეკი პილოტებს მაინცდამაინც არ მოსწონთ. სამაგიეროდ, რბოლის ორგანიზატორებს საქმიანობას უქებს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობა. შედეგად „ჰუნგარორინგს" საფორმულო ეტაპის მასპინძლობის ლიცენზია 2011 წლამდე გაუგრძელდა.

სწორედ ბუდაპეშტში მოიგო თავისი პირველი დიდი პრიზი (2003) მიმდინარე სეზონის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ და შარშანაც შედგა პოდიუმზე. ნანდოს, რომელიც გუშინ 24 წლის შესრულდა, ხვალაც წარმატების იმედი აქვს: „პირველი გამარჯვების გამო, ვფიქრობ, უნგრეთი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა მრბოლებისთვის. აქ სტარტზე ამაღლებული განწყობით გამოვდივარ. საინტერესო ტრასაა — ნელი მოსახვევები და სიცხე დიდ დატვირთვას უქმნის მანქანის ძრავა-საბურავებს. ეს მძღოლისთვისაც სერიოზული გამოცდაა, კარგ ფიზიკურ ფორმაში უნდა იყოს, ამ მძიმე პირობებს რომ გაუძლოს. ჩვენი „რენო" სადღეისოდ ყველაზე სწრაფი არაა, მაგრამ საუკეთესოა. სიჩქარეში „მაკლარენს" ჩამოვრჩებით, სამაგიეროდ, ჩვენი მანქანები უფრო საიმედოა."

აღსანიშნავია, რომ ბუქმეიკერები სახვალიოდ მაკლარენელ კიმი რაიკონენს გამარჯვების ოდნავ მეტ შანსს აძლევენ, ვიდრე ალონსოს. მესამე „კუში" აქვს კიმის თანაგუნდელ ხუან-პაბლო მონტოიას.

„ჰუნგარორინგზე" ყველაზე მეტი — ოთხი მოგება დაუგროვდა მიხაელ შუმახერს, ორი — კანადელ ექსჩემპიონ ჟაკ ვილნევს, თითოც — რუბენს ბარიკელოს და ალონსოს.

ბუდაპეშტში „მაკლარენს" ცუდი ამბავი შეემთხვა. დაილუპა საჯინიბოს 29 წლის მექანიკოსი, რომელიც სასტუმროს მერვე სართულის ტერასიდან ჩამოვარდა.

ბოლოს იმაზეც, რომ რაიკონენი და მონტოია დღეს-ხვალ უკანასკნელად იჯირითებენ საქვეყნოდ ცნობილ მეთამბაქოე გრანდის „ვესტის" ლოგოებით. მოგეხსენებათ, წლეულს შემოდგომიდან ევროპაში სიგარეტის რეკლამა იკრძალება და რვაწლიანი შეხმატკბილებული თანამშრომლობის შემდეგ „მაკლარენს" ახალი სპონსორის მოძებნა მოუწევს.

**გია ახალაძე**

XIII ეტაპი უნგრეთის დიდი პრიზი

ჰუნგარორინგი

ბუდაპეშტი, 31 ივლისი



**ტრასის სიგრძე** ---------------------------- **4.381 კმ**

**რბოლის დისტანცია** ---------------------- **70 წრე — 306.663 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ალონსო (რენო); 4 მონტოია (უილიამსი); 5 ბატონი (B.A.R.); 6 სატო (B.A.R.); 7 პიცონია (უილიამსი); 8 ფიზიკელა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.19,678 (197,9 კმ/სთ)

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი**




AFP მონრეალიდან

ოტილია ქედრჟეშჩაკმა პოლონეთს მეორე ოქრო მოუტანა

# ფელპსის კურდღლები გარბიან

**ორი** კურდღლის მადევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო, ბრძნული ნათქვამი კია, თუმცა ეს სიბრძნე აქამდე სულაც არ ვრცელდებოდა მაიკლ ფელპსზე. ჭაბუკი ამერიკელი წინა დიდ პირველობებზე, მაგალითად, ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზე ან ათენის ოლიმპიადაზე ერთდროულად ორ კი არა, ხუთ-ექვს და მეტ კურდღელს მისდევდა და ისე იჭერდა, როგორც დაგიბარებიათ — შარშან ათენში რვა მედალი მოიპოვა, აქედან ექვსი ოქროსი და თუ ასე იოლად გამოსდიოდა ყველაფერი, ახლა მონრეალში რატომ უნდა ეთქვა უარი მსოფლიო ოქროებზე?

მაგრამ ახლა ფელპსს ყველაფერი ისე ოქროსფრად ველარ ესახება. ასე ვთქვათ, მან ცურვის ტაქტიკა, უფრო კი სტილი შეცვალა და მედლების მოსავალიც შემცირდა. 27 წლის ფელპსმა შეგნებულად თქვა უარი 200 მეტრ ბატერფლაიზე, რაშიც მსოფლიოს ჩემპიონი კი არა, სულაც რეკორდსმენი გახლავთ, რათა იმ დღეს 100 მეტრ თავისუფალ და 200 მეტრ კომპლექსური ნახევარფინალში გამოსულიყო და შედეგად ამ ორივე დისციპლინის ფინალში მოხვდა, თუმცა მეორე დღეს უკვე ფინალურ გაცურვაში ისე ყოჩაღადაც ვერ გამოიყურებოდა — კომპლექსური კი მოიგო, მაგრამ ასმა „თავისუფალმა" მეტრმა ისე შებოჭა ჭეელი ვარსკვლავი, რომ ოქროსა და პოდიუმს ვინლა დაეძებს, საერთოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. არ ეხერხება მსოფლიოს ყველაზე სახელოვან მოცურავეს ხელების თავისუფლად მოსმა და რა ქნას? 400 მეტრის ფინალში საერთოდ ვერ გავიდა, 100 მეტრზე კი მოხვდა, მაგრამ რაღ უნდა მეშვიდე ადგილი!

მწვრთნელ ბობ ბაუმანისგან შეგულიანებული ფელპსი არც ნანობს, სხვის აუზში რომ ჩახტა და „საკუთარ" სახეობებზე უარის თქმით, მინიმუმ ორი ოქრო დაკარგა. მე სწორედ თავისუფალ სტილში ვერა ვარ მაგარი და ეს ნაკლი პეკინის ოლიმპიადამდე აუცილებლად უნდა გამოვასწორო, აი, ასე მსჯელობს. გამოდის, რვა კურდღლის მადევარს იქნებ ოთხი-ხუთი გაუსხლტეს, მაგრამ ფელპსი პატარა ბიჭი ხომ აღარაა და როგორც ვატყობთ, დღევანდელ კვერცხებს ხვალინდელი ქათმები ურჩევნია.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კი ჩემპიონობა მოულოდნელად იტალიელ ფილიპო მანინის დარჩა, თანაც მან მსოფლიოს ვერა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდიკი გამოაცხო — 48,12 წამი.

იმ დღეს, ანუ ხუთშაბათს, 28 ივლისს მოცურავეებმა 5 ფინალი მოილიეს, რომლებშიც მედლების საერთო ჩათვლაში ისედაც წინ გაჭრილმა ამერიკელებმა კიდევ ორი ოქრო და ერთიც ბრინჯაო მოიპოვეს და საერთოდ მიუწვდომელნი გახდნენ. 200 მეტრ კომპლექსურში ფელპსის ოქროს ამერიკელმა გოგონებმა 4X200 მეტრ „თავისუფალ" ესტაფეტაში მოგებულიც წაუმატეს.

დღის გმირი კი პოლონელი პეპელა, ოტილია ჟედრჟეშჩაკი გახლავთ, ვისაც აქამდე მონრეალში 100 მეტრი ბატერფლაიც მოეგო და ახლა ამ მკლავმაგარმა გოგონამ 200 მეტრზეც იპირველა, თანაც ეს დისტანცია 2 წუთსა და 0,5,61 წამში დაფარა, რითაც 2002 წელს დამყარებულ საკუთარ მსოფლიოს რეკორდს 0,15 წამი ჩამოაჭრა.

ამასობაში კი უკვე ფინალთან მიცურდნენ წყალბურთელები — ხუთშაბათს ნახევარფინალები ჩადგაფუნდა და ერთში ოლიმპიურმა ჩემპიონმა უნგრეთმა 7:6 „დაახრჩო" საბერძნეთი, ხოლო მეორეში სერბეთ-ჩერნიგორიამ მოსისხლე ხორვატია 5:4 „ჩაძირა".

**ძოტე ყორშია**




AFP მონრეალიდან

მაიკლ ფელპსი



28 ივლისი

**კაცები 100 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 ფილიპო მანინი (იტალია) | 48,12 |
| 2 როლანდ შოემანი (ს. აფრ.) | 48,28 |
| 3 რიკ ნიტლინგი (ს. აფრიკა) | 48,34 |
| 7 მაიკლ ფელპსი (აშშ) | 48,99 |

**200 მ კომპლექსური**

| | |
|---|---|
| 1 მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.56,68 |
| 2 ლასლო ჩეხი (უნგრეთი) | 1.57,61 |
| 3 რაიან ლოჩტი (აშშ) | 1.57,79 |

**ქალები 50 მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1 ჯაიან რუნი (ავსტრალია) | 28,63 |
| 2 ჩან გაო (ჩინეთი) | 28,69 |
| 3 ანტიე ბუშშულტე (გერმანია) | 28,72 |

**200 მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1 ატილია ჟედრჟეშჩაკი (პოლ.) | 2.05,61 |
| 2 ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) | 2.05,65 |
| 3 იუკო ნაკანიში (იაპონია) | 2.09,40 |

**4X200 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ (ნატალი გოლინი, კეტი ჰოფი, უიტნი მაიერსი, კეიტლი სანდენო) | 7.53,70 |
| 2 ავსტრალია | 7.54,06 |
| 3 ჩინეთი | 7.57,29 |

## მედლების დაფა

| | ოქრ | ვერ | ბრინ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 8 | 5 | 23 |
| ავსტრალია | 6 | 7 | 2 | 15 |
| ჩინეთი | 5 | 5 | 6 | 16 |
| რუსეთი | 5 | 2 | 2 | 9 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 4 |
| გერმანია | 2 | 6 | 3 | 11 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| იტალია | 1 | 3 | 3 | 7 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| ს. აფრიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| ზიმბაბვე | 1 | 1 | 0 | 2 |
| იაპონია | 0 | 4 | 7 | 3 |
| კუბა | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ბრიტანეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| შვედეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |

**წყალბურთი**

ნახევარფინალი

**უნგრეთი 7:6 საბერძნეთი**

**სერბეთი 5:4 ხორვატია**

# ფრანცისკას ცურვას ემარჯვება, მიკროფონიც... და...

**მსოფლიოსა** და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონ-რეკორდსმენი, სულ ახლო წარსულში მსოფლიოს სპორტის ერთ-ერთი [illegible]-შესი ვარსკვლავი, გერმანელი ფრანცისკა ვან ალმსიკი ახლა მიკროფონთან და ტელეკომენტატორობას ეწევა. ფრანცისკა იქ მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ტელეარხ SAT-1-ის მეშვეობით რეპორტაჟებს გადმოსცემს. როგორც გერმანელი ჟურნალისტები ამბობენ, ყოფილი მოცურავე ისევე კარგად აკეთებს კომენტარებს, როგორც ცურავდა.

ამ „ოქროს თევზის" მიწვევით SAT-1-მა მართლაც ოქროს თევზი დაიჭირა. ფრანცისკა არა მხოლოდ კომენტარებს აკეთებს, არამედ მოვლენის ადგილიდან მშვენიერ რეპორტაჟებსაც გადმოსცემს. [illegible] რომ არ იყოს, ეკრანზე ისეთი ლამაზმანის, როგორიც ფრანცისკა ვან ალმსიკია, უბრალო გამოჩენაც კი მაყურებელს აიძულებს, რაც შეიძლება ხშირად გადართონ თავიანთი ტელევიზორები SAT-1-ს არხზე, მის მეპატრონეებს კი მეტიც არა უნდათ რა.

ბევრი მაყურებელი ალბათ ფრანცისკაგან იმის მოსმენასაც ელის, თუ თავის დროზე როგორ ემზადებოდა ეს მოცურავე დიდი სტარტებისთვის, რისთვისაც მას საკუთარი მეთოდიკა ჰქონდა შემუშავებული. როგორც ამბობენ, ეს მეთოდიკა შეჯიბრებათა კვირაძალზე სექსის ინტენსიობის გაზრდასაც ითვალისწინებდა.



**ფეხბურთი**

## პოლონეთი

I ლიგა. II ტური

ლეხი 1:1 არკა

## ავსტრია

I დივიზიონი. IV ტური

ავსტრია (ლ) 5:0 კუფშტაინი

ავსტრია (მ) 3:1 ალტახი

გრატკორნი 1:0 კარნტენი

ლინცერი 0:0 შვაინშტადტი

ლეობენი 4:0 კაპფენბერგი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა I ტური

ლევერკუზენი (მ) 2:3 ქემნიცი

დიუსელდორფი 1:2 ოსნაბრიუკი

ვერდერი (მ) 0:1 ზანკტ პაული

## ირლანდია

პრემიერლიგა. XIX ტური

უოტერფორდი 1:3 დერი სიტი

ბოჰემიანსი 1:1 დუბლინი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური

პსჟ 4:1 მეცი

II დივიზიონი. I ტური

ამიენი 3:0 გრენობლი

ბრესტი 0:0 გენიონი

შატორუ 1:1 ბასტია

კლერმონი 0:0 სეტე

კრეტეი 3:2 კაენი

ლავალი 0:1 ისტრი

მონპელიე 2:1 ლე ავრი

რეიმსი 1:2 ლორიანი

ვალანსიენი 2:1 დიჟონი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. III ტური

ბადენი 0:0 ვინტერთური

ვოლენი 1:2 ვილი

## სლოვაკეთი

I ლიგა. III ტური

ტრენჩინი 2:0 ინტერი

## ამხანაგური მატჩები

მიონხენგლადბახი (გერმანია) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

სპორტინგი (პორტუგალია) 4:0 მიდლსბრო (ინგლისი)

## ოთხთა ტურნირი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 0:2 პორტუ (პორტუგალია)

აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 არსენალი (ინგლისი)

## 2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER 19 Championship

ფინალი

საფრანგეთი 3:1 ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რბოლამდელი სამზარეულო

*სანამ ბუდაპეშტის დიდი პრიზი გახურდება, ცნობილი მრბოლები უნგრეთის ტელევიზიამ საინტერვიუდ მიიწვია და თან ეროვნული კერძების მომზადებაშიც წაავარჯიშა. ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო იხვს სანელებელს აყრის, გერმანელ მიხაელ შუმახერს კი უნგრელი მზარეული გეზა კაჟასი ასწავლის, ასე და ასე უნდა დაჭრა პომიდორიო.*





AFP ბუდაპეშტიდან



AFP ბანგკოკიდან

# რეალი ცუნამის წინააღმდეგ

*აი, ბექემი, ბექემი – იძახიან ტაილანდელი გოგო-ბიჭები და „რეალ მადრიდის" ინგლისელ ვარსკვლავს ფოტოებს ხომ უღებენ და თან ავტოგრაფსაც სთხოვენ. იაპონიამოვლილი „ელ გალაკტიკოს" მორიგი გაჩერება ტაილანდია, სადაც „რეალი" ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრება და იჯაურებს დეკემბრის ცუნამისგან გამოყოლილ სევდას გაუქარწყლებს. სანამ საქმეს შეუდგებიან, სამეფო კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და გოლეადორი რაული ტაილანდის პრემიერ-მინისტრ ტაკსინ შინავატრას ეწვივნენ და მის გვარწაწერილი „რეალის" მაისურა გადასცეს.*




AFP ბანგკოკიდან

# ორთოპედიული რეცეპტი

*ჰოლანდიელი ქალ-მოკრივე ლუსია რიჩკელი ორთოპედ ენტონი დელის გულისყურით უსმენს, რომელიც სამედიცინო დარიგებებს აძლევს სპორტსმენს, თუ როგორ უნდა უწამლოს ვარჯიშზე დაზიანებულ აქილევსის მყესს.*



AFP ბარსინა დელ რეიდან

# ბალაკო, შე მაგარო!

*პატარა იაპონელს მოედანზე მორბენალთაგან ყველას მიხაელ ბალაკი ურჩევნია და მისი საქომაგო პლაკატიც მოუმარჯვებია. დიბლა, მინდორზე, „ბაიერნი" ჯეი ლიგის ფავორიტ „ტოკიოს" ეთამაშება ამხანაგურად. ამბავი, ცხადია, ტოკიოში ხდება, სადაც „ბაიერნი" ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ჩასულა.*




AFP ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელაური
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოტა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლარვჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge